# საქართველო

**მ ი ი ღ ე ბ ა  გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი**

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. სამი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კანტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კანტორა დაკეტილია.
**კანტორის ტელეფ. 15—73.**

**ყოველდღიური გაზეთი** | **სამშაბათი, იანვრის 27 1920 წ. № 19** | **ფასი 4 მან.**



**ანონსი** ორშაბათიდან იანვრის 26-იდან თეატრ კინო-პალასი. პირველი დადგმა კინო ატელი საზ-ბა „ფ ი ლ მ ა“-ს გამოცემა გადაღებული თბილისის მიდამოებში **თავ მოკვეთილი გვამი** კინო-დრამა 6 ნაწ. სასამართლოს ქრონიკიდან. მთავარ-როლებში პ. ა. კაშევსკი და ლუი ბუფალ

**ა პ ო ლ ო** პირველად თბილისის ეკრანზე ახალი მხატვრული დადგმა

# ლ ა ქ ი ა

ღრმა ფსიქ. კინო-დრამა

**გუხოვსკის სცენარიით.**

**იქიას როლში ავტორი**

**კინო პალასი** პირველად გადაღებული თბილისში საქ(.
საზ.-ბა „ფილმა“-ს მიერ

## თავმოკვეთილი გვამი

კინოდრამა 6 ნაწილად სამოსამართლო ქრონიკიდან.

მთავარ როლებში პ. კაშევსკი და ლუი ბუფალო

ა. დავიდოვასა, მ. ანენსკის, ა. ტრიგო და ბ. კოვონცის მონაწილეობით.

მუსიკა ილლიუსტრ. ი. ხუდადოვისა.

კინო-თეატრი **ფილმა** ოლღას ქუჩა № 3.
ახალ მხატვრული დადგმა ძმ. პატეს ატელიესი ვიქტორ ჰიუგოს რომანი

## საზღვაო მოღვაწენი

დრამა 6 ნაწილიდ.

უმთავრეს როლებში ქ-ნი ბრბანე, ბ-ნი ჟუზე ჟერარი, მონიე.

**დასდგამს ანტუანი**


ნასტასია გულისაშვილისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, იანვრის 27 (ახ. სტ.) წლის შესრულების გარდაცვალებიდან მისი დაუვიწყარი მეუღლის მღვდლის

**ვანო გულისაშვილისა**

წირვა ს. ნინოწმინდაში.

სოფიო ლეონიძისა შვილებით: ევგენია, ლევან, სვიმონ, გიორგი, ნინო, გულისაშვილები. ალექსი, რაფიელ და ასული ნინო, და მათიკაშვილები: შალვა, ირაკლი, კიკო, ლეო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ იანვრის 27 შესრულდა წლის თავი მათი დაუვიწყარის ძმის და ბიძის მღვდელ

**ვანო გულისაშვილის**

გარდაცვალებიდან. წირვა ს. ნინოწმინდაში.

მეუღლე მარიამ სვიმონის ასული, ვ ჟი ვლადიმერ სვიმონის ძე მეუღლით თამარ ივანეს ასული, ქალი ნინო სვიმონის ასული მეუღლით ვასილი ალექსის ძე ნასყიდაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას იანვრის 23 მათი ძვირფასი პირველის მეუღლე, მეორესი მამა და უკანასკნელთა სიმამრის მღვდელი თ. სამების ეკლესიისა

**სვიმონ ონოფრის ძე ცოფურაშვილი**

პანაშვიდები ყოველ საღამოს ექვს საათზე საკუთარ ბინაზე არსენალის ქ. № 21- გამოასვენებენ დილის 10 საათზედ ანჩისხატის ტაძარში. დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ხუთშაბათს, იანვრის 29 ს.
2760 1—1


**მ ი ხ ე ი ლ ი ს** იანვრის 27 ს
**ალკრე** **პირველად თბილისში**
პლეხანოვის ქუჩა, 91.
**როდესაც იღვიძებს მხეცი**
მხატვრული კინო-პიესა 5 მოქ.
რომანი „მესამე სქესი“
**ივერის პატლეტები**
ყოველ დღე ორკესტრი.
დასაწყისი საღ. 5 ნახ. საათზე

**ქიმერიონი**



ქართველ მწერალთა კლუბი
(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)
ყოველ დღე დღის 11—5 ს. სადილი.
ჩ[illegible] რუმინული ორკესტრი
ორშაბათიდან იანვრის 26-დან ახალი
პ რ ო გ რ ა მ ა.
1) ჩინეთის ტუში, 2) მუსიკის გაკვეთილები, 3) სათბილოზელი, 4) შოპენის ინსცენიროვკა, 5) ალომიეას ვალსი, 6) მეოცე საუკუნის ცეკვა
სტუმრების შეკრება იწყება საღამოს 10 საათზე.
რეჟისორი ლეო გალი  კონფერანსიე ნეჩაევი

**ჩინეთიდან მიღებულია ახალი პარტია**
**ნამდვილ**
**ჩ ი ნ უ რ ი  ჩ ა ი ს**
მშვენიერ სურნელის, გემოს და ფერის
**ს. მ ი უ ლ გ ე ნ ქ ი ა ნ ი ს**
**ფ ი რ მ ი თ**
ვაჭრობა ნარდად და ბითუმად 1, 1/2 და 1/4 გირვანქიან კოლოფებში.
მანთაშევის სასტუმრო ეზო, სომხის ბაზარზე, ზემო სართული.
№№ 119 და 120.  ტელეფონი 7—21.
ვინც ჩვენ ჩ ა ი ს იგემებს, იგი სხვას არ მოისურვებს.

**კინემო მინიონი**
ბარიათინის ქ. რუსთაველის პრ. კუთხე.
25, 26 და 27-ს იანვარს
**მ ი ს  ს უ ლ ს  შ ე ე ხ ო  ქ ა ლ ი**
მხატვრული სალონის დრამა.
დ ა ს ა ს რ უ ლ
**„შურა როგორ ხვეტავდა თოვლს“**
კომედია.
დასაწყისი საღ. 5 ს.

**სახელმწიფო თეატრი**
ფვლახიშვილის ხელმძღვანელობით.
დღეს, იანვრის 27 ს
1. „ლუფლის პატიოსნება“. 2. “ჯამბაზები“.

**ყოველთვიური ჟურნალი**
**„შვილდოსანი“ № 1**
გრიგოლ რობაქიძე—„ფრანც პოეტს“.
პაოლო იაშვილი - „ალი არსენიშვილს“
ვალერიან გაფრინდაშვილი —„საფერფლე“
ტიციან ტაბიძე—„ლვდელი და მალარია“.
კოლაუ ნადირაძე—საქორწინო მოგზაურობა მთვარესთან“
ნიკოლოზ მიწიშვილი—„დეკემბრის აგონია“.
რაჟდენ გვეტაძე—„ყვავები სასაფლაოზე“.
შალვა აფხაიძე—„ღვთისმშობელი პროსპექტზე“.
ნ. ლორთქიფანიძე—მინატიურა.
დია ჩიანელი—მინატიურა.
ტიციან ტაბიძე - „დაისული სებასტიანე“
შალვა აფხაიძე—„ლიტერატურული პროფილები“.
კოლაუ ნადირაძე—„ქართული პოეზია“
ფასი 30 მან.  რედაქტორი სანდრო ცირეკიძე.

**ალ. ტატიშვილის**
**საკომისიო მაღაზიაში**
„BUENOS-AIRES“,
თეატრალური შესახვევი № 1.
იღება საკომისიოდ ყოველნაირი ნივთეულობა და საქონელი, განსაკუთრებით მ[illegible] კი ხალიჩები, რაც ხელსაყრელ პირობებში საჩქაროდ იყიდება.
ამ ჟამად მსურველს შეუძლია შეიძინოს ამ მაღაზიაში: რკინის კასა, პლუშის პალტო და ხალიჩები.  3—2

**გრიტანეთ-კავკას. სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა**
**ბ რ ი კ ა ტ ო**
ამით აცხადებს, რომ განაახლა რა თავისი მოქმედება იღებს ყოველგვარ სავაჭრო-სამრეწველო მინდობილობათ, როგორც ინგლისში, ისე ევროპისა და ამერიკის სხვა სახელმწიფოებში, სადაც ამ თვის ბოლოში მიემგზავრება ამხანაგობის ერთ ერთი წევრთაგანი. ამხ-ბას აქვს საკუთარი საწყობი და საკომისიოდ იღებს ყოველნაირ საქონელს.
**ამხ-ბის გამგეობა** იმყოფება ბათუმში, დონდუკოვ-კორსაკოვის ქ. № 18.
**კონტორები** თბილისში, პირაგოვის ქ. № 6 ტელ. 22—05.
**ბაქოში** კრასნოვოდსკაი № 7. ტელ. 43—86
london, 5 Acasia Rood, st Johu's Woad №№ 8 stel. Nam. 65—34.
თბილისის კონტორა ღიაა ყოველდღიურად დღის 12—2 ს.
გამგეობის თავმჯდომარე **ა. ი. ბრუსბინი**

**ფ ო თ შ ი**
ნახიმოვის და ბერდიანსკის ქუჩების კუთხეზე სამხედრო ეკლესიის პირდაპირ იყიდება
**ორი ან ერთი ნაჭერი მიწა**
ზომით თითო ნაჭერი 200 ოთხ კუთხი საჟენი.
პირობების გაგება შეიძლება ფოთში სასტუმრო „ბელვიუში“ ბერიძესთან.
2761 2—1

**ციმბირში მყოფთა ნათესავების საყურადღებოდ**
ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენლები იანვრის უკანასკნელ რიცხვებში (იანვ. 30) მიემგზავრებიან უკანვე აღმოსავლეთ ქვეყნებში. ვისაც სურთ წერილი მიაწოდონ იქ მცხოვრე (ციმბირში, მანჯურიაში, ჩინეთში და იაპონიაში) ნათესავ ნაცნობებს, ან „სხვა რაიმე დავალება აქვთ ამ ქვეყნებში—შეუძლიანთ მიმართონ ან წერილ გადასცენ დელეგატს დავით ივ. როსტომაშვილს, თუმანოვის შესახვევი, № 24, პირადად, 3 საათზე შუადღის შემდეგ და ერმილე ხავთასს, რუსთაველის ქუჩა № 1.

**საქართველ. სატრანსპორტო საზოგადოება**
ამით აუწყებს, რომ ამა წლის 1-ლ თებერვლიდან იგი მიიღებს ყოველგვარ ტვირთს ქალაქ თბილისში და ქალაქ გარედ გადასაზიდ-გადმოსაზიდავად.
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების კანცელარიაში დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 3 საათამდე. (სერგიევის ქუჩა № 18
242 2-2

**აღმოსავლეთ-** კავკასიის ნავთის მრეწველთა და ვაჭართა აქციონერთა საზოგადოების გამგეობა
აცხადებს ნავთის მსყიდველთა საყურადღებოდ, რომ აღნიშნულ საზოგადოების თბილისის კონტორაში რუსთველის პროსპექტზე № 30 ბინა 3. იყიდება ნავთეულობა საქართველოსა სომხეთისთვის ცისტერნებში ნავთი, მაზუთი, ბენზინი, წასასმელი და სანათი ზეთი, ისყიდება ნაწილ-ნაწილად საზოგადოების საწყობში. ქ. თბილისი ბათუმის შესახვევი № 3.
აღმოსავლეთ-კავკასიის ნავთ-მრეწველთა და ვაჭრების აქც. საზ. წარმომადგენელი ა. ლ. ბახტაძე.
2753 1—1


## შემარყეველი ძალა

დღემდე ვერ გავმიჯნეთ ადგილობრივ თვითმართველობათა უფლება და მოვალეობა. კანონმდებლობითი წესით მათ თავიანთი იურიდიული კაპიტალი ვერ მივუჩინეთ. ჯერ არ არის გამოცემული არც საქალაქო და არც საერობო დებულება, რომელმაც უნდა ბოლო მოუღოს ადგილობრივ თვითმართველობის მიერ ფუნქციისა და უფლების იმპროვიზაციას. ასეთი გარემოების გამო ხშირია გაუგებრობა და შეხლა-შემოხლა ცენტრის მთავრობასა და პროვინციის თვითმმართველ ორგანოთა შორის. თვით ადგილობრივ თვითმართველობის ფარგალშიაც არსებობს ფუნქციათა აღრევა და ურჩობა. გვაქვს იმის მაგალითები, რომ სათემო ერობა ყურადღებას არ აქვს სამაზრო ერობის დადგენილებას და ამ უკანასკნელის საწინააღმდეგო გარდაწყვეტილებას და ღონისძიებას იღებს, მაგალითად, ზუგდიდის მაზრაში სიმინდის გატანის საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ აგერ ორი წელიწადია, რაც წესიერების და უფლებრიობის ფარგალში ჩადგომას ვსცდილობთ, რევოლიუციის და არეულობის ფსიხოლოგია ჯერ კიდევ ცოცხალია თუ თვით ხალხში არა, იმათ შორის მაინც, ვინც ხალხის მესვეურობას და მედროშეობას იჩემებს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დიდათ ხელს უშლის ადმინისტრატიული, იურიდიული და ეკონომიური ცხოვრების მიზან-შეწონილ გაერთიანებას საერთო ნაციონალურ ინტერესისათვის. ეს დაჯახება პროვინციასა და ცენტრს შორის უფლებისა და კომპეტენციის სფეროში უმთავრესად ეკონომიურ საფუძველზეა წარმოშობილი. მაღალი და დაბალი ტიპის ადგილობრივი თვითმართველობანი ჯამაგირებისა და სხვა ხარჯების დასაფარავად ხან სხვა და სხვა სახის რეკვიზიციას მიმართავენ, ხან გასატან საქონლის დაბეგვას, ხანაც ამ საქონელში წილს იღებენ და ყოველივე ეს უმეტეს შემთხვევაში ხდება თვითნებურად და უკანონოთ. ხალხი უკმაყოფილოა ასეთი წესებით. დაინტერესებული პირები უმაღლეს მთავრობაში ასაჩივრებენ თვითმართველობების ამ საქციელს. ცენტრალური მთავრობა გზავნის ფიცხელ განკარგულებას უკანონო მოქმედებათა აღსაკვეთად. ეს განკარგულებები ხშირად აუსრულებელი რჩება და მთავრობა იძულებული ხდება პროკურორს მიმართოს და თვითმართველობები პასუხისგებაში მისცეს. ასე რომ, ჩვენი ქვეყნის მოქალაქობრივი ცხოვრება აშლილია დღესაც, დაულაგებელი; ეს გარემოება ჰქმნის სპეკულიაციის პირობებს; იგი ძალიან მძიმე შედეგებით აწვება საერთო სურსათის საკითხს მის განაწილებას; იგი განსაკუთრებით ართულებს სურსათის საქმეს ჩვენი დედა-ქალაქისათვის, რომლის წახედვითაც იქცევიან დანარჩენი ქალაქები და სოფლები. რომ ყოველ კუთხეს თავისი „ეკონომიური პოლიტიკა“ არ ჰქონდეს, თბილისი ყოველთვის საკმაო ფქვილს მიიღებდა და მაშინ სიმინდის ფქვილი 350-400 მანეთი არ ეღირებოდა და გაჭირვებული ხალხიც სიმშილის სიმკაცრეს შეიმსუბუქებდა. ადვილი არ არის ამ არა ნორმალური მდგომარეობის ლიკვიდაცია. იგი შედეგია რევოლუციური ცხოვრებისა და პრაქტიკის, შედეგია იმ ფრაზეოლოგიის, დაპირებების და ყალბი დემოკრატიზმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲓᲦᲔᲡ:

ბოლშევიკების მოწინავე ნაწილებმა ჩინეთის საზღვარს მიაღწიეს.

იტალიაში ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა შეწყდა.

პოლონელებსა და ლატიშთა შეერთებულმა ჯარებმა აიძულეს ბოლშევიკები მთელ ფრონტზე უკან დაიხიონ.

ავღანთა ჯარი თავს იყრის ინდოეთის საზღვართან. ისინი ინგლისელებზე თავდასხმას აპირებენ. რაზმები ბაღდადისკენ მოიწევენ.

ჰელსინგფორსის კონფერენციაზე შეთანხმება საბჭოთა რუსეთსა და განაპირა სახელმწიფოთა შორის საზღვრების დადგენის და გამოყოფის შესახებ.

### ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ:

მეთაური—შემორიგებული ძალა.
ოსმალური პრესსა.
შ. ბერიძე—ვინ იყო წმ. ნინო.
მორწმუნეთა წრის დღესასწაული პროექტი.

რომელსაც უეჭველ პროპაგანდისტები წლობით უნერგავდნენ ხალხს. [illegible]

შეიძლება ძალიან წინააღმდეგობის [illegible]

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სტამბოლის გაზეთი „ლე ბოსფორი“, [illegible] ვილჰელმა, ფრანც იოსებმა და ენვერ ფაშამ გამოიწვიეს, მოჰყვა ვულკანიური ამოხეთქვა, რომელსაც სხვათა შორის აღმოჰყვა სამი პატარა რესპუბლიკა: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანიო. ავტორი წინასწარ არაფერს სწყვეტს ამ რესპუბლიკების მომავალ ბედის შესახებ; იგი ურჩევს მეზობელ რესპუბლიკებს თანხმობით ცხოვრებას, სიამოვნებით მოჰყავს ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლის—ბ-ნ რცხილაძის სიტყვები, რომელიც გაზეთის ერთ-ერთ რედაქტორისთვის განუცხადებია: „შეიძლება ითქვას, რომ ამიერიდან საქართველოსა და სომხეთს შორის სიძნელენი გადალახულია და რომ ორივე რესპუბლიკა გულწრფელ შეთანხმების გზით ივლიანო“. ამის შემდეგ ავტორი სწერს: „ჩინებულია. ის-ღა დაგვრჩენია, რომ ამ იმედების განხორციელება—ვუსურვოთ. მაგრამ მარტო ის კმარა, რომ ჰარმონია მხოლოდ მეზობელთა შორის იყოს. იგი აგრეთვე უნდა გამეფდეს ყოველ ქვეყნის მოქალაქეთა შორის, შინაური წესიერება ძირითადი საძირკველია საგარეო მშვიდობიანობის განსამტკიცებლად. თუ სადმე დაჩირქებული ჭრილობა, მთელი სხეულია განსაცდელში და ამას კი შეიძლება მეტად სამწუხარო შედეგები მოჰყვეს. საქართველოს განუზრახავს წონასწორობა დაიჭიროს რევოლიუციასა და რეაქციას შორის. ბოლშევიკური შეთქმულობა ენერგიულად იქმნა ჩაქრობილი ამიერ-კავკასიაში. ცარიზმს არა აქვს არავითარი შანსები საქართველოს მთავრობის ლიბერალურ წესებზე გაიმარჯვოს. დენიკინი საქართველოში ვერ ეღირსება სიმპატიურ შეხვედრას, თუ ამ ქვეყნის მისწრაფებანი არ შეიწყნარა. ამგვარად საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით, საქართველოს დაცული აქვს სიბრძნის ყველა გარეგნობა. მაგრამ შეიძლება კი ამავე რწმენით მისი შინაური პოლიტიკაც შევაქოთ. განსაჯეთ. მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის ძალით მას უფლება აქვს, რეკვიზიცია უყოს ყველა თამბაქოს, რომელიც რესპუბლიკის საზღვრებში მოიპოვება. აქამდე არაფერი გვეთქმის. ყველა სახელმწიფოს აქვს ამის უფლება. ნაციონალური ინტერესის გულისთვის მათ შეუძლიანთ ხელი დასდონ ყველა იმ საქონელზე, რომელიც მათთვის აბსოლუტურ საჭიროებას შეადგენს.

მაგრამ ერთი მუდმივი ჩვეულება, რომელიცაა საკუთრების პატივისცემა, ყოველგან მოითხოვს, რომ სარეკვიზიციო საქონელი სამართლიანად იქნას შესყიდული. და საქართველოში სწორედ ამას არ აქვს ადგილი. ფუთი თამბაქო, რომელიც დაახლოვებით 9500 მ. ღირს, ჩამორთმეულია 400—600 მანეთამდე. საკმარისია სამ—ოთხჯერ ამგვარი ბურღის შემოტრიალება, რომ ვაჭარმა სული განუტევოს. აღებმიცემობის ზარალი, ამგვარად, მრავალ ათეულ მილიონს გადააჭარბებს. ცხადია კი რომ, თუ ცალკე პიროვნება განადგურებულია, სამაგიეროთ სახელმწიფო მოიგებაშია, ვინაიდან აშკარაა, რომ სახელმწიფო მყიდველს მუქთად

[illegible] შეიძლება აქ საჭიროც იყოს მეგობრული ჩარევა. ნუ თუ არ შეიძლება უმაღლესი საბჭოს ყურადღება ამ გარემოებას მიქცეოდა, სანამ მოქმედებას დაიწყებდეს ხალხთა საზოგადოება, რომელსაც ასეთ შემთხვევებში მმართებს შერიგების სიტყვების თქმა?

ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვსთხოვთ ბ-ნ რცხილაძეს გადასცეს თავის მთავრობას სურვილი, რომელსაც ჯამოსთქვამს, ჩვენის საშუალებით, საქართველოს ყველა გულწრფელი მეგობარი, რომ ბოლო მოეღოს ამგვარ საქციელს, რომელიც ბევრად მიაგავს ლენინის ჟესტებს...

რასაც ჩვენ გადმოგვცემენ ქართულ მეთოდების შესახებ, სრულიად მიაგავს ბოლშევიზმის მეთოდებს. განაწილების სამართლიანობა იმას კი არ მოითხოვს, რომ მოქალაქეთ წაართვა, რაც აბადია. ჩვენ არამც და არამც არ გვინდა ასეთი სამართალი, რაგინდ მოყვარულიც ვიყოთ პროგრესისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს მთავრობა ყურს ათხოვს იმ მეგობრულ წუხილს და საჩივრებს, რომელიც მისდამი იქნება მიმართული.

ეს სასარგებლოც იქნება და სახელისთვისაც გამოსადეგი, ვინაიდან ამით იგი დაიმსახურებს იმ ნდობას და პატივისცემას, რომელიც ესდენ ესაჭიროებათ უძლიერესს სახელმწიფოთაც კი განვითარებისათვისაც და სხვა ქვეყნებ შორის საპატიო ადგილის დასაჭერადაც.

### გაზეთი „პროია“.

ბერძნული გაზეთი „პროია“, რომელიც სტამბოლში გამოდის, დეკემბრის 28 ნომერში საქართველოს მდგომარეობის შესახებ სწერს შემდეგს: „საქართველოს მდგომარეობის შესახებ, რომელსაც გაზეთები მოგვითხრობენ და რომელსაც ჩვენმა თანამოძმე გაზეთმა „ბოსფორმა“ გუშინ მოწინავე წერილი უძღვნა, აი რა დაგვიმოწმა დიდმა კომერსანტმა ბინია ?-?ლიმ დეპეშები, რომელიც მან მიიღო და მოსდის კიდეც სოხუმიდან თამბაქოს საწყობებზე თავდასხმის ცნობებს კი არ გადმოგვცემენ, არამედ იმას, რომ საქართველოს მთავრობა იჭერს ვაჭართა თამბაქოს, ფასის დამდებლად და გზავნის მას ევროპის სხვა და სხვა ბაზარზე თავის საკუთარი ანგარიშში. მარტო დღემდის საქართველოს მთავრობამ მხოლოდ ბერძენ მოვაჭრეთ ჩამოართვა 50 მილიონი ფრანკის ღირებული თამბაქო.

საქართველოს მთავრობა როდი კმაყოფილდება მარტო თამბაქოს ჩამორთმევით; მან სხვა საქონელზედაც განავრცო ჩამორთმევა და როგორც საბუთი გასცა ერთი დეპეშა, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობას კერძო პირებისთვის 500.000 ფუთი აბრეშუმის პარკი ჩამოერთვა, რასაც იგი უცხოელთა სახელის ფირმით გზავნის მარსელში თავის საკუთარ ანგარიშში. ეს პარკი მან გააქვს პაკეს კამპანიის გემ „სურიანზე“, რომელიც ეხლა ჩვენს ნავთსადგურში დგას.

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

## ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ

### მუსთაფაევის დაპატიმრება

ცნობილი თურქ-მილიონერი და დენიკინის მომხრე ჰასონ მუსთაფაევი რომელიც ერთ დროს დაპატიმრებული იყო და შემდეგ გაიქცა ჩრდილო კავკასიაში, ამ ჟამად, დარუბანდიდან დაბრუნებული, ბაქოს ნავთსადგურში შეიპყრეს კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლ კომიტეტის აგენტებმა და ციხეში ჩასვეს.

### დაპატიმრებანი

ბაქოში ყოველდღე მრავლათ აპატიმრებენ ქურდებს, გადასასახლებელებს და სხვა ბოროტ მოქმედებს. იანვარის 16 ს დააპატიმრეს 14 ქურდი, 11 გადასასახლებელი პირი და 37 სხვა და სხვა გვარი ბოროტმოქმედნი. „აზ.“ № 17.

## ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ

### ქაჩაზნუნის მიხიის შესახებ.

ჰასკელმა, თანახმად მის მიერ ამერიკიდან მიღებულ ტელეგრამისა, სომხეთის მთავრობას მოსთხოვა: 1) ახლი მთავრობის მიერ ქაჩაზნუნისადმი მიცემულ რწმუნების ბარათისა და პარლამენტის იმ დადგენილებათა, რომელთა ძალით მიცემულია ეს რწმუნება; 2) განმარტება თუ რამდენად ძალაშია ამ ჟამად ეს რწმუნების ბარათი. სომხეთის მთავრობამ გაუგზავნა პოლკ. ჰასკელს მოთხოვნილი ასლი და ხელახლა დაადასტურა ქაჩაზნუნის რწმუნებულობა.

### სომხებ.ს და ქურთების შეთანხმება.

პარიზიდან სტამბოლის სომხურ გაზეთებს ატყობინებენ, რომ სომხეთის ეროვნულ დელეგაციას და ქურთების წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკება მოხდა სომხეთსა და ქურთისტანის შუა აღძრულ სადაო საკითხებზე. მოლაპარაკებას მოჰყვა ნაყოფიერი შედეგი და მათ შორის მოხდა სრული შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს სომხებიდან პოღოს ნუბარმა და ჰ. ოჰანჯანიანმა, ხოლო ქურთებიდან შერიფ-ფაშამ.

ამ შეთანხმების გამო ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ამერიკის წარმომადგენელებმა თავიანთი კმაყოფილება გამოუცხადეს პოღოს ნუბარს, მაგრამ ამასთანავე აღნიშნეს, რომ შეთანხმების ხელის მომწერი შერიფ-ფაშა ფაქტიურად არ არის ყველა ქურთების წარმომადგენელი, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ შეთანხმებას მაინც აქვს დიდი მორალური მნიშვნელობა და მისი გავლენაც დიდი იქნება.

შერი-ფაშამ დეპეშით აცნობა პოღოს ნუბარს, რომ სრულიად ქურთის ერი თავისს კმაყოფილებას აცხადებს მომხდარ შეთანხმებებზე.

### ყარსის საქალაქო არჩევნები

ყარსის ქალაქის საბჭოში აირჩიეს დაშნაკელთაგან 49 ხმოსანი, სახალხო პარტიიდან—4 და ესერებიდან—2.

## ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

### ბოლშევიკები და ოსმალონი

ზუნდერლენდში ჩერჩილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა, რომ ცენტრალურ აზიაში ბოლშევიზმის გავრცელება დიდ საფრთხეს წარმოადგენს ევროპისთვის. ბოლშევიზმის და ოსმალეთის ნაციონალიზმის კავშირი ძალიან შეაფერხებს დიდ ბრიტანეთის საქმეს. რაც შეეხება ბოლშევიკების პროპაგანდას ინგლისში—ჩერჩილი ამბობს: თავხედ აღმოსავლეთ ფანატიკოსებისგან ჩვენ არ მივიღებთ კონსტიტუციის გაკვეთილებს. იმ სოფიზმებით რომლითაც რუსის გლეხს მოატყუებ—ფუჭი იქნება ინგლისელ მოქალაქეთათვის“.

### სტამბოლის საკითხი.

იტალიის გაზ. „სტამპა“ სწერს, რომ ოსმალთაგან სტამბოლის წართმევა მეტად დამღუპველი იქნება. მხოლოდ სტამბოლს ძალუძს ოსმალეთის იმპერიის დედა ქალაქად დარჩეს.

ფრანგული გაზ. „ინფორმატიონ“-ში დენი კაშენი სწერს, რომ ოსმალთ არ შეუძლიანთ სტამბოლის მართვა. სტამბოლის ერთა შორისო ქალაქად გადაქცევა არც თუ ისე საშიშოა, როგორც ეს წარმოუდგენია. ყოველ შემთხვევაში გასაერთაშორისებაც დროებითი იქნება; შესაძლებელია, რომ ბოლოს და ბოლოს სტამბოლის პატრონი საბერძნეთი გახდეს.

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

(საქ. დეპ. სააგ.)

### ბოლშევიკების უკუქცევა.

პოლონელთა და ლატიშთა შეერთებულმა ჯარებმა აიძულეს ბოლშევიკები მთელ ფრონტზე უკან დაეხიათ. მდგომარეობის გადასარჩენათ ბოლშევიკებმა დვინის ჩრდილოეთით საერთო შეტევა დაიწყეს გენერალ ლაზოვცკის გვერდით მყოფ სექტორში დვინის გასწვრივ და პოლოცკის სამხრეთით. მიუხედავათ მტრის სიძლიერისა, მათი შემოტევა დიდის ზიანით უკუგდებულია. მთელი სექტორის ფრონტზე ბოლშევიკები აღმოსავლეთისაკენ უკან იხევენ.

### ბოლშევიკების სამხედრო ცნობა.

**მოსკოვი.** იან. 25. ნარვის რაიონში მივიღეთ 100-ზე მეტი გამოქცეული. რეჟიცის რაიონში ბრძოლა გრძელდება. მოზირის სამხრეთ დასავლეთით 30 ვერსზე ბრძოლა ადგილობრივი ხასიათისაა ქალ. უმანის სამხრეთ-დასავლეთით 15 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ნიკოლაევის შიმართ. ჩვენ ბრძოლით ავიღეთ სადგური ნოვი-ბეგი და სოფლები ნოვოჩერკასკის რაიონში კონსტანტინოვსკაიას სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით 40—45 ვერსზე სოფლები ავიღეთ. ველიკოკნიაჟეს მიმართ, ჩვენმა ჯარმა სდ. ბატლავსკაიას რაიონი აიღო და სამხრეთისკენ წინ იწევს. დამატებითი ცნობით 10—13 იანვარს ლონთან მიახლოვების დროს ჩვენი ჯარი იძულებული შეიქნა ცუდ პირობებში მდ. გადასასვლელები გაეკეთებია, რადგან დიდი წვიმების გამო მდინარეზე დიდი ყინული წამოვიდა და წყალი ნაპირებიდან გადმოვიდა მიუხედავათ ამისა ჩვენმა ჯარმა მაინც შესძლო დონზე გადასვლა და შემდეგი შეტევის დროს იძულებული იყო ბოგირები დაეტოვებინა, რადგან ყინული თვითეულ კაცს ვერ იმაგრებდა. ცარიცინ-ტიხორეცკაიას რკინის გზის რაიონში ჩვენი ჯარი ველიკოკნიაჟესკაიაზე შეტევას განაგრძობს. ჩვენმა ჯარმა პრიუტნოე აიღო და მდ. მარიჩზე გადასასვლელად ბრძოლას აწარმოებს. სემიპალატინსკის რაიონში ჩვენმა ჯარმა სერგიოპოლი აიღო. მოწინავე ნაწილებმა ჩინეთის საზღვარს მიაღწიეს.

### აჯანყება ხოვდეპიაში.

ევროპიულ პრესის ცნობით, ბოლშევიკურ რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში ამბოხებამ იფეთქა. ვორონეჟის სანახებში წითელ ჯარში აჯანყება მოხდა. უკმაყოფილებაა აგრეთვე მთავრობის პოლიტიკით ამ ადგილების მცხოვრებნიც. გლეხებმა თავი ტყეს შეაფარეს, რათა იქიდან პარტიზანული ომი აწარმოონ წითელ ჯარის წინააღმდეგ. ხშირად წითელი ჯარისკაცები აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის მაგიერ მათ მხარეზე გადადიან. უწესოებანი მოხდა აგრეთვე ტამბოვისა, რიაზანისა და გრიაზის სანახებში.

## ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

(საქ. დეპ. ს.)

### ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვის შეწყვეტა.

იტალიაში ფოსტა-ტელეგ. მოსამსახურეთა გაფიცვა შესწყდა. სამინისტრომ გამოაცხადა: 21 იანვრის, ღამის 11 საათიდან სატელეგრაფო კონტორები დეპეშებს მიიღებენ ყველა მიმართულებით. ნიციდან იუწყებიან: იტალიელ რკინის გზელთა გაფიცვა გათავებულად უნდა ჩავთვალოთ. მატარებლები დადის განუასა და ვინტიმილს შორის.

## ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

### პრესსა საფრანგეთის ახალ პრეზიდენტის შესახებ.

გაზეთები აღნიშნავენ დეშანელის ზოგიერთ პირად ღირსებებს. აღფრთოვანებულნი არიან განსაკუთრებით დეშანელის ორატორული ნიჭით, მისი ენის სიმდიდრით. ამტკიცებენ, რომ არავის სხვას არა აქვს იმდენი გრძნობა ტაქტისა, როგორც დეშანელს. მისი გულწრფელობა საუკეთესოთ გამოაშკარავდა, როდესაც იგი ასრულებდა პალატის თავმჯდომარის მოვალეობას. როგორიც უნდა აღმოჩნდნენ მისი თანამშრომლები პრეზიდენტობის ასპარეზზე, ყოველ შემთხვევაში მან უკვე გამოიჩინა თავი, როგორც საუკეთესო არბიტრმა.

### მილერანის კაბინეთი

ახალი კაბინეთის მინისტრთა შემადგენლობამ საფრანგეთის პრესსა ერთთავად აალაპარაკა. ყველა თანაგრძნობით შეხვდა მილერანის გადაწყვეტილებას, რომელიც ფიქრობს კაბინეთის შემადგენლობაში მიიწვიოს გაზეთ „ფიგაროს“ სპეციალისტებიც: „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დეპუტატთა პალატა ამ გაბედულ პოლიტიკას მიიღებს, რომელიც ნათლად გვიმტკიცებს მილერანის აზროვნებას და მის მტკიცე დიდ ხასიათის ძალას.

გაზ. „ეხოდე-პარი“: „მილერანის არჩეული გზა, ნათლად მოწმობს იმას, რომ მინისტრთა საბჭოს ახალი თავმჯდომარე კარგი აზრით არის გამსჭვალული: ის იწვევს ყველა კომპეტენციურ ხალხს, სპეციალისტებს.

გაზ. „პტი-რესპუბლიკ“. „მილერანი არის ადამიანი დიდი ნაბიჯის—ყოფის, გადამწყვეტი ხასიათის და ის განსაკუთრებული მომუშავე კაცია“.

გაზ. „მატენ“: მილერანის ახლად შედგენილი კაბინეთში ცოტა პოლიტიკურ წრეებში ცნობილი ხალხია მაგრამ შესანიშნავი კი თავისი პროფესიის ცოდნით.

გაზ. „ლობლიბი“ „მილერანის მიერ არჩეული თანამშრომელნი, რომელთაც კერძო ცხოვრებაში დაამტკიცეს თავიანთი შრომის უნარი საქმის წარმოება—ამტკიცებს იმას, რომ მილერანის სურს დაძლიოს ის სიძნელენი, რომელიც დღეს არის“.

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ.

(საქ. დეპ. სააგ.).

### კომუნისტების აგიტაცია უმუშევრებში

**ნაუენი,** იან. 21. ბერლინის მთავრობამ გამოარკვია, რომ კომუნისტები უმუშევართა შორის აგიტაციას ეწევიან. უკანასკნელ ხანში კომუნისტების კომიტეტები ბერლინის სახელოსნოებში ავრცელებენ ფურცლებს.

## ᲠᲣᲛᲘᲜᲘᲐ

(ს. დ. ს.)

### იმედიან მოსავლის მოლოდინი

ბუქარესტიდან მოსული ცნობით ყანები გაუმჯობესდა. მთავრობამ ყოველგვარი ზომები მიიღო, რომ დღემდის ყველა დაუმუშავებელი მიწა მომავალ გაზაფხულისათვის დაამუშაონ.

### რუსი ლტოლვილები რუმინიაში

ბუქარესტიდან იუწყებიან: რუმინეთის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა დროებით შეიფაროს 400 ათასი სული ლტოლვილი, რომელნიც სამხრეთ რუსეთიდან გაურბიან ბოლშევიკებს. მიღებულია ხანიტარული ზომები. მეორეს მხრივ იღებენ ზომებს, რომ ხელი შეუშალონ რუსული ფულის კონტრაბანდულ გატანას. პოლონელ ლტოლვილებს დაუყოვნებლივ გაამგზავრებენ პოლონეთში, ბერძნებს კუნძულ.. (დემახინჯებულია) დანარჩენთ დობრუჯის ჩრდილოეთ-ნაწილში დააბინავებენ. მათ სურსათ-სანოვაგეს მიაწვდიან მოკავშირენი.

## ᲐᲕᲦᲐᲜᲘ

(საქ. დეპ. სააგ.)

### ავღანთა ჯარი ინდოეთის საზღვარზე.

**სტოკჰოლმი.** იან. 15. რეიტერის სააგენტოს ცნობით ავღანისტანის ჯარი თავს იყრის ინდოეთის საზღვართან, როგორც ჩანს ისინი ინგლისელებზე თავ დასხმას აპირებიან. ინგლისი მესოპოტამიის მდგომარეობით აღშფოთებულია. აჯანყებულთა რაზმები ბაღდათისაკენ მოიწევენ.

### მინისტრთა საბჭოში.

რომიდან იუწყებიან: მეფესთან დარბაზობის შემდეგ ნიტიმ მინისტრთა საბჭო მოიწვია. (ჯამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა)... რაიცა შეეხება პარიზის მოლაპარაკებას. საბჭომ მსჯელობა იქონია რკინის გზელთა გაფიცვის შესახებაც. ამბობენ საბჭომ მოიწონა გზათა მინისტრის მიერ მიღებული ზომებიო.

## ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

### პოლონეთის ანტიბოლშ. თათბირის სხდომა

დაიწყო მთელ პოლონეთის ანტიბოლშევიკურ თათბირის სხდომები. სხდომებში მონაწილეობას იღებს 1500 ლტოლვილი. თათბირზე თავმჯდომარეობს სეიმის მარშალი ტრამპჩინსკი. შესდგა ექვსი კომისია.

## ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

### ვილსონის განცხადება.

ვილსონის მიერ ეროვნულ დემოკრატების ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში, მან სხვათაშორის სთქვა: „გერმანია დამარცხებულია, მაგრამ იგი უკვე ხელახლა მზათარის განახორციელოს თავისი თავდაცვითი და თავდაცემითი პროგრამა, რაც შეუძლებელს ხდის რაიმე გვარ ხანგრძლივ მშვიდობიანობას. გერმანია ხელ ახლა მზად არის ყოველნაირ ინტრიგების მოსაწყობად. არც ერთი ჩვენმიერ დასახული მიზანთაგანი, რომელთაგამო ჩვენ გავედით ბრძოლის ველზე, ჯერ განხორციელებული არ არის; ამ მიზნების განხორციელება შეუძლებელია სანამ შეერთებული შტატები არ დაამტკიცებენ სამშვიდობო ხელშეკრულებას.

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ-ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲝᲑᲐ

„ტაიმს“-ში მოყვანილია გერმანიასა და საბჭოთა რუსეთის შორის წარმოებულ საიდუმლო მოლაპარაკების შედეგად მიყოლილ ხელშეკრულობის შინაარსი. უმთავრესი პირობები შემდეგია: 1) რუსეთს ეძლევა თავისუფალ მოქმედების ასპარეზი. 2) ფინეთი უნდა იყოს დამოუკიდებელი. 3) ბალტიის სახელმწიფოები მიიღებენ ავტონომიას რუსეთის მფარველობის ქვეშ. 4) რუსეთი აძლევს გერმანიას განსაკუთრებულ სასარგებლო სავაჭრო პირობებს 15 წლის განმავლობაში. 5) გერმანიამ უნდა მისცეს რუსეთს 200 მილიონი მარკა (ინგლისურ 10 მილიონ ოქროთ ღირებულს) და 120,000 კაცს დაუყონებლივ გამოსაყენებლად. „ტაიმს“-ის აზრით ამ ხელშეკრულობით გერმანია განამტკიცებს პრაქტიკულ სავაჭრო მფარველობას რუსეთზე, მაგრამ არაა ცნობილი, მიიღო თუ არა რუსეთმა ეს პირობები.—

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ

### როსტოვის რადიო № 883 და 884.

ინგლისელები დიდ მზადებაში არიან, რომ ათი ათასი ჯარისკაცი კავკასიაში გაგზავნონ. ინგლისელებსა და ბოლშევიკებს შორის შეჯიბრებაა, ვინ მალე მიაღწევს ბათუმ-თბილის-ბაქოს რკინის გზას. ლლოიდ-ჯორჯმა აიძულა რათა გერმანიაში მყოფი ინგლისელი ჯარები ფრანგებს შეეცვალათ, ხოლო ინგლისელები კავკასიაში წარეგზავნათ. ლლოიდ-ჯორჯმა ეს შეასრულა მუქარით, რომ თუ ფრანგები უარს იტყოდნენ, მაშინ ფრანგები საბჭოთა რუსეთს საზავო წინადადებით მიჰმართავენ. სხვა არავინ არ არის დაინტერესებული კავკასიაში შეუალობით, როგორც ინგლისელები. თუ ბოლშევიკები შეიჭრნენ სპარსეთში, ინგლისის მთავრობას ეშინიან, რომ მისი ძლიერება სპარსეთში არ დაემხოს, რადგან როგორც კავკასიაში ისე სპარსეთში ინგლისელები კიდეც შეიძულეს. თუ ბოლშევიკები შეიჭრნენ ოსმალეთში, ისინი დაემუქრებიან მესოპოტამიასაც (შუამდინარე) და გადუჭრიან კონსტანტინოპოლ-ბაღდადის გზას. ამ საქმეში ლლოიდ-ჯორჯი და ჩერჩილი ერთად არიან. მოწყობილობა, სურსათი, ტანისამოსი, თოფები, ამმუნიცია, ტყვიისმფრქვევლები, აეროპლანები, ტანკები სასწრაფოდ იგზავნება ბაქოს, ხოლო იქ მყოფი ინგლისური ნაწილები ადგილობრივ „ქართულ ჯარს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას ასწავლიან.“ პრიზი, რომელსაც ინგლისელები ესწრაფიან—ეს არის მსხვილი სანავთო ცენტრი—ბაქო.

## ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

(იტალიის სამხედრო მისიის ცნობა)

იტალიის სამხედრო მისსია იუწყება რომ თებერვლის პირველ რიცხვებში ბათუმში საგანგებო გემით ჩამოვა იტალიის სამოქალაქო მისსია 35 კაცისაგან შემდგარი. ეს მისსია წარმოადგენს მტკიცე ძალთა ორგანიზაციას, რომლის ხელშიც არის დიდი კაპიტალი და ფიქრად აქვს ეხლო მომავალში შეიმუშაოს ამიერკავკასიისთვის გეგმა ეკონომიურ და ვაჭრობა-მრეწველობის გასავითარებლად.

ამ ორგანიზაციის ინიციატივა კერძო ხასიათისაა, მაგრამ მას ხელს უწყობს იტალიის მთავრობა. მისსიის სათავეში სდგანან: სენატორი კონტი, მრეწველი და ყოფილი მომარაგების არმიის მდივანი და ვოლპი-ფინანსისტი.

---

## ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝ?

(იდ იანვარი)

საქართველოს ეკლესია დღეს ადიდებს მას, ვინც განანა ჩვენი ერი წარმართობიდან თექვსმეტი საუკუნის წინად. საქართველოს ეკლესია იხსენიებს დღეს „წმ. და ნეტარსა დედასა ჩვენსა ნინო მოციქულსა“, რომლის მოქმედება საქართველოში დაუფასებელია ქართველ ერისს მსოფლმხედველობის განვითარებისათვის.

წმ. განმანათლებელი საქართველოისა დაიბადა 280 წ. კაპპადოკიაში. იგი ახლო ნათესავი იყო წმ. გიორგი ძლევამოსილისა (+303, ივ. ბატონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ცნობ.) და ამასავით ღვთის მოყვარე და მორჩილი. ჩვენი მომქცევის სახელს ზღაპრული, მითიური შარავანდედი ახვევია წარს, თუმცა კი განსახიერება რეალობისა. მისი გადმოსვლა საქართველოში ასეთ სიშორიდან და მტვრად ქცევა არმაზის კერპისა მცხეთაში ხალხს აღმერთებინებს მის პირადობასა და სახელს. მისი მოღვაწეობა ძველ საქართველოში არ განსაზღვრულა მარტო „მცხეთის" მოქცევით. მან მიჰმართა, ვაზის ჯვრით ხელში, კახეთსაც და ს. ბოდბეში, დაბადებიდან 67 წლისამ, მშვიდობიანად განისვენა (347 წ.). მრავალი ზეპირი თქმულება დადის წმ. ნინოს შესახებ საქართველოს სხ. და სხ. კუთხეებში, არა ერთი და ორი გვსმენია, სხ. შორის, სამეგრელო-სამურზაყანოში, არა ერთი და ორი ავტორის მიერ დაწერილა „ცხოვრებაჲ" მისი (საინტერესოდ და უფრო მნიშვნელოვნად მათ შორის უნდა მივიჩნიოთ „ცხ. წმ. ნინ.", არსენ კათალიკოზისა, მე-X ს.) და უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მათ ერთი და იგივე წყარო—სალომე უჯარმოელის (მირიანის ძის მეუღლის) ჩანაწერი უდევთ საფუძვლად და ამ მხრივ სწორედ რომ აღსრულდა სიტყვები წმინდანისა, მიმართული მის მოწაფეთადმი, რომელნიც ეხვივნენ გარს განსვენების წინ, რაც სალ. უჯარმოელმან აღნიშნა იქვე ქაღალდზე: „დედა, სამახსოვროდ ძეთა თქვენთა, აღწერილ იქმნას ცხოვრებაი ჩემი და მოქმედებაი, სიყვარული თქვენდამი და სარწმუნოება ჩემი. შთამომავლობამ თქვენმან გაიგოს და აღნიშნოს ღვთისნიერება ჩემი, რომელიც თვალთ იღეთ თქვენა და რომლის მოწამენიც იყავით პირადად". ასე ამბობდა წყლულ-მოუბარი წმიდანი, ხოლო უჯარმოელი ქალი ყოველივე ნათქვამს აღნიშნავდა გულს მოდგინედ. ვიდოდნენ წლები და ყოველივე ნაამბობი, ჩანაწერი და განაგონი შთამავლობიდან შთამავლობაში გადადიოდა სხ. და სხ. სახით. ქართველი ერი უსმენდა გადმოცემას, კითხულობდა ნაწერს და უსაზღვრო პატივით აღივსებოდა განმანათლებელისადმი. თამარ მეფის სახელთან ერთად წმ. ნინოს სახელი ფრიად გავრცელებულია ერში, როგორც ქალთა სახელწოდება. დღევანდელი დღე—დიდი დღეა არა მარტო საქართველოს ეკლესიისათვის, მთელი ქართველი ერისთვისაც... წმ. ნინოს გარდაცვალების დღე უწინ უფერულად, აღუნიშნელად ჩატარდებოდა ხოლმე, რუსეთის სინოდის ბატონობისა გამო. ქართველთა განმანათლებელს არა სცემდნენ სათანადო პატივსა და რაღაც „არა სრულ უფლებოვან" წმიდანად ჰრაცხდნენ მას... დღეს კი განთავისუფლებული ეკლესია და მასთან ერთად მთელი ერი მუხლს უნდა მოიყრიდეს მის წმ. სახის წინაშე, ნიშნად ღრმესი პატივისა და მადლობისა. წმ. ნინომ თვისის მოქმედებით საქართველოში, ხელი შეუწყო ერის გათვითცნობიერებას, მისი კულტურულ ღირსებათა გამომჟღავნებას. დაიმსხვრა კერპი არმაზისა და მის ადგილს აღიმართა სვეტი ცხოვლისა! გავრცელდნენ ეკლესიები, მონასტრები და ისინი იქცნენ სავანედ განათლებისა, კულტურისა.

ჩაისახა მწერლობა, განვითარდა ჟამთა-აღმწერლობა, მქადაგებლობა და სხ. (იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ანდრ. მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში" 1900, „მოამბე", № 6)

მთელი სამეცნიერო ლიტერატურა წარმოშვა, სხ. შორის, ნინოს სახელწოდებამ.

ნინო (resp ნინა=მეგრ. ჭ.ნ. ენა) სომხ. ნუნე მოსე ხორენელისა (5 ს.) და სტეფ. თარონელისა, (XI ს.) („მსოფლიო ისტ." II, თ. I) არ იხსენიება, როგორც ვიცით, ბიზანტიის ისტორიებში. ერის წარმოდგენით, ტყვედ ქმნილი თეოგნოსტა შემდ. ნინო (ნინა) სომხ. ნუნე, პლ. იოსელიანის აზრით, მატარებელი იყო არა საკუთარი სახელისა არამედ ზოგადისა („ж. м. н. пр. 1842, № 1 და Кр. истор груз. церкви," 1843". მას მიემხრო ფრანგი მეცნიერი, აკადემიკოსი მარი ბროსსე, რომელმაც შესაძლებად სცნო სომხ. ნუნეს წარმოება ლათინური Nonnaდან, რაც ნიშნავს: „მონაზონს", ღვთის მოყვარეს", „მორწმუნეს". „Histoire de la Géorgie", t. I, 1849, p. 90, not. I).

3. იოსელიანისა და მ. ბროსსეს მომხრენი საკითხში იყვნენ: დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ვ. ლანგლუა, ე. თაყაიშვილი, ა. ხახანაშვილი და სხ.

ამ თეორიის წინააღმდეგი იყო—პროფ. ვ. ბოლოტოვი, რომლის აზრით, ნონნა, როგორც სახელწოდება არსებობდა საქართველოს განმანათლებელის სამშობლო—კაპპადოკიაში და მაშასადამე, ქართ. ნინო (ნინა) სომხ. ნუნე არის მხოლოდ გადასხვაფერებული საკუთარი სახელი და არა ზოგადი *)

აკად. ნ. მარრის აზრით, ნინო, ნინა, სომხ. ნუნე, წარმოიშვა ბერძ. ΝΟ,ΝΝΑ და ლათ. nonna-დან. პირველი და ნამდვილი მისი სახელწოდება, რასაც სხ. შორის მოწმობენ არაბულ-კოპტური წყაროება, იყო თეოგნოსტა (Н. Марръ: Автокеф. груз. церкви", Ц. Вѣд., № 3, 1907 წ, იხ. და შეად აგრეთვე ო. ლემმი—„Iperica", зап. Ак. Н., 1906, № 6, сер. 8, томъ 7.)

კაპპადოკიელი ქალი თეოგნოსტა (ნინო, II ნუნე) იპყრობდა თვისკენ ყურადღებას მრავალ მწერალთა და მემატიანეთა ყურადღებას. დასმულ კითხვაზე; —„ვინ იყო ნინო"?—ჩვენ ვუპასუხებთ ერთ ერთ უკანასკნელთა სიტყვებით (ნიკ. ტფილელი):

„უძლურნი დედა, ძლიერთა ჰიმ მეალვირე.

კუართისა მძებნი, ღუთის დედის მოციქული.

კერპთ მეხი სრულიად.. დიდებით დიდი!"—აი ვინ იყო ჩვენთვის ნინო. **)

შ. ბერიძე.

# სრ—დ საქართველოს აგრონომთა პირველი ყრილობა

**პირველი დღე.**

25 იანვარს სასოფლო სამეურნეო საზ. ბინაზე ნაშუადღ. 1 საათზე გაიხსნა სრულიად საქართველოს აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა პირველი ყრილობა. კრებას ხსნის ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე პროფ. ს. ავალიანი.

**სიტყვა პროფ. ავალიანისა**

ბატონებო! ვინაიდან საქართველო სასოფლო სამეურნეო ქვეყანაა, რომლის განვითარება დღეს დღეობით ნორმალურ კალაპოტში არა სდგას ამისთვის დაიბადა აზრი ამ ყრილობის მოწვევისა. დღევანდელ ყრილობას ესწრება ყველა ამ დარგში მოღვაწენი. როგორც ჩვენ ვიცით საქართველო არ არის განვითარებული მრეწველობით და ჩვენს ახალგაზრდა მთავრობას რადგანაც არ აქვს საკმარისად კაპიტალი ვერ შესძლებს სათანადო დონეზე ამ დარგის განვითარებას. მრეწვ. დამყარებას სჭირდება დრო ამისათვის ჩვენ დღესვე უნდა შევუდგეთ მის განვითარებას. ჩვენი ვალი არის ამ ნიადაგის გამოფენა და ამ საქმის საფუძვლიანად დაყენება ცოდნა და აზრი ერთმანეთთან აქ გაზიარებული იქნება ფუძე ამ მუშაობისა. ამ დარგში დღეიდან ჩვენ აღმშენებლობით მუშაობას უნდა მოვკიდოთ ხელი. საორგანიზაციო კომიტეტს იმედი აქვს, რომ ეს პირველი ყრილობა გადაიქცევა საისტორიო ყრილობათ, რომელსაც მოჰყვება სხვა უფრო დიდი ყრილობები. დღემდის ამას ხელს უშლიდა ის პირობები, რომელშიაც საქართველო იმყოფებოდა, დღეს კი საქართველო დამოუკიდებელია. ამ დამოუკიდებლობას მან მიაღწია იმ დამსახურებულ მუშაობით, რომელსაც აწარმოებდა 2 წლის განმავლობაში. ამ დროს უფრო დიდი სახელმწიფოები ირღვეოდნენ, დაინგრენ, აქ კი ჩვენი სახელმწიფოს ახალგაზრდა მთავრობა ეწეოდა აღმშენებლობით მუშაობას. დღეს ჩვენ სახელმწიფოს აქვს გარკვეული იურიდიული სახე და მე მსურს, რომ დღევანდელი ყრილობა მიესალმოს მას ვინც საქართველო მიიყვანა ამ მდგომარეობამდის და რომელიც ითვლება ჩვენი რესპუბლიკის მამამთავრად ბატონ ნოე ჟორდანიასი (მხურვალე ტაში). აგრეთვე ნება მიბოძეთ თქვენი სახელით მივესალმოთ ჩვენ მთავრობას რომელმაც მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ჩვენს სახელმწიფოს (მქუხარე ტაში) და აგრეთვე თუ ნებას მომცემთ მიულოცოთ მათ ვინც მოიყვანა საქართველო ამ მდგომარეობამდის და ვინც იცავს დღეს დღეობით ჩვენს სახლკარს ჩვენ სახელოვან გვარდიას და მის მეთაურს ვალ. ჯუღელს და ახალგაზრდა ქართულ ლაშქარს რომელიც აღმშენებლობითი მუშაობს (ტაში) და კიდევ სალამი უძღვნათ იმ ფუძნეულ ორგანოს დამფუძნებელ კრებას, რომელიც ხალხის ნდობით არის აღჭურვილი და ვიმედოვნებთ რომ ის ნათლად გაუძღვება ჩვენს რესპუბლიკას და მკიდრო ნიადაგზე დააყენებს ჩვენს სახელმწიფოს (ტაში). რეგლამენტის ძალით კრება ირჩევს პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე სვ. ავალიანი ამხანაგებად ვ. რცხილაძე და ი. ჟურდიანი. მდივნებად: ლ. ლომაური, დ. სამადაშვილი, გ. ოქროპირიძე.

თავმჯდომარის წინადადებით მისალმებანი მიიღება მხოლოდ წერილობით, ხოლო მთავრობის წარმომადგენლებს დაეთმობათ სიტყვა სურვილისამებრ.

**სიტყვა მიწ. მოქმ. მინისტრის ბ-ნ ხომერიკისა**

ბატონებო მიწად მოქმედების სამინისტროს სახელით ნება მიბოძეთ მივესალმო ყრილობას და უსურვო მას ნაყოფიერი მუშაობა. მე დარწმუნებული ვარ რომ უნაყოფო არ იქნება მისი მუშაობა. თუ ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი იყო ეს აიხსნება რომ არ იყო ხალხი არ იყო დაწესებულება რომ ამას გაძღოლოდა წინ. ჩვენი დამოუკიდებლობა ფიქციად იქცევა თუ არ განვითარდა მისი მეურნეობის მთავარი სასოფლო მეურნეობა. დღეს საქართველო თავისუფალია მაგრამ იგი დღეს ჩამორჩენილია იმ დარგში, რომლის წარმომადგენელიც თქვენ ხართ. დღევანდელი მეურნეობის მეცნიერების გადატანა ხალხში საჭიროა და აი რა უნდა იყოს ჩვენი მიზანი. თუ ამას შევძლებთ ჩვენ მართლაც ვიქნებით თავისუფალნი და ჩვენ გაუმკლავდებით ამ საქმეს და თქვენ მეურნეებმა რომელნიც აქ შეკრებულხართ უნდა ხალხში გაავრცელოთ და გადვიტანოთ მასსაში. მაშინ თქვენ პირნათლად შეასრულებთ თქვენს მიზანს. რაც შეეხება ჩვენს მთავრობას იგი არ შეჩერდება და ყოველთვის ხელს გაუწოდებს მას რომელიც აქეთკენ იქნება მიმართული. კიდევ ამ მუშაობისკენ მოუწოდებ ყრილობას მოულოცავ მას მთავრობის სახელით და უსურვებ ნაყოფიერ მუშაობას ტაში.

**მისალმებანი:**

თავმჯდომარე კითხულობს წერილობით სისალმებას სხვა და სხვა დაწესებულებების როგორც თბილისიდან ისე პროვინციიდან.

**ხარჯთ აღრიცხვა**

ხაზინადარი საორგანიზაციო კომიტეტის კითხულობს ყრილობის შემოვალ გასავალს 25 იანვრამდე. საორგანიზაციო კომიტეტს სხვა და სხვა დაწესებულებათა და პირთაგან შემოსვლია 40200 მანეთი. ამავე დღემდის დაუხარჯავს 16,600 მანეთი.

**დეპეშები.**

დასასრულს თავმჯდომარე კითხულობს ტექსტს იმ დეპეშებისა რომელიც ეგზავნება მთავრობის თავმჯდომარეს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას.

ყრილობაზე 70 წევრამდე გამოცხადდა.

კრების თავმჯდომარე ხურავს ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე მეორე დღის 10 საათამდე.

# ახალი ამბები

**დელეგაცია მთავრობის თავმჯდომარესთან**

გუშინ დღის 12 საათზე მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ნ. ჟორდანიას წარუდგნენ მესაქონლეთა და მეცხვარეთა დელეგაცია.

**ფასის მომატება ელექტრონის ძალაზე**

ელექტრ. სადგურების პატრონებმა განცხადება შეიტანეს თბილისის ქალ. გამგეობაში, რათა ელექტრონის ენერგიაზე 1 იანვრიდან მომატებულ იქმნას გადასახადი.

**გ. თუმანოვის გარდაცვალება**

26 იანვარს ღამე თბილისში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი გ. მ. თუმანოვი.

**ელექტრონის რკინის გზის გაყვანა**

საერთაშორისო თათბირი ათავებს მუშაობას ქვენამის უღელტეხილზე ელექტრონის რკინის გზის გაყვანის შესახებ, 3 თებერვალს თათბირი მოისმენს მოხსენებას, რათა გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ.

**სხვა და სხვა უწყებათა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.**

პარასკევს, 30 იანვარს, დამფუძნ. კრების საფინანსო საბიუჯეტო კომისია დაიწყებს სხვა და სხვა უწყებათა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. კომისიის მოხსენებლებს წინადადება მიეცა, პირველად წარმოადგინონ თავიანთი დასკვნა, სამხედრო, შინაგანი და გზათა სამინისტროების ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

**სტუდენტთა დღის გამო**

განათლების მინისტრის განკარგულებით გუშინ 26 იანვ. სტუდ. დღის გამო ყველა საშუალო სასწავლებლებში მეცადინეობა შეწყვეტილ იქმნა.

**თბ. კლუბების კავშირმა** სხდომაზე დაადგინა რომელშიც შედიან 2 ქართ. კლუბი, არტისტიული საზოგადოება, სომეხთა კლუბი, სახელოსნო კლუბი და „კრუჟოკი" შეიმუშაოს პროექტი თბილისში უქალღეს სამხატვრო აკადემიის გახსნის შესახებ საკუთარ ხარჯზე.

## ქალაქის თვითმმართველობაში

**ნიხრი**

ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა ახალი ნიხრი სამანქანო ძონზე შემდეგი ფასებით; I ხარის. ფუთი 1000 მანეთი, II ხარისხის—500 მან., III ხარისხის—200 მან. (ყოველგვარი სატეხნიკო ძონი)

**საქალაქო გადასახადი**

ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა ახალი პროექტი საქალაქო გადასახადების გადიდების შესახებ, რომელიც დასამტკიცებლად საბჭოს წარედგინა.

**„სტუდენტთა დღე"**

ქალაქის გამგეობამ „სტუდენტთა დღის" გასართობი საღამოები გაათავისუფლა საქალაქო გადასახადის ორი მესამედისაგან.

## სხვა და სხვა ამბები

**ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის დამაარსებელი** დ. კალანდაძე საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაიგზავნა ქ. ბათუმში. მას დავალებული აქვს მოიწვიოს კრება და მოლაპარაკება გამართოს ბათუმის ვაჭარ-მრეწველებთან. კრება შესდგება ეროვნულ საბჭოს ბინაზე. კრების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

**საღამო საშუალო პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ**

ხუთშაბათს, იანვრის 27-ს თბილისის საშუალო პოლიტეხნიკური სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ სახაზინო თეატრში დადგმული იქნება ოპერა: „აბესალომ და ეთერი".

**საქართველოს ისტორია**

სარგის კაკაბაძემ დაასრულა საქართველოს ისტორია ძველი დროიდან ვიდრე დღემდე. თავისი შრომა ბ-ნმა კაკაბაძემ დაჰყო სამ ნაწილად. „ძველი ისტორია" რომელიც შეიცავს ძველ პერიოდს მე-7-ე საუკ. არაბთა შემოსევამდე. „საშუალო" მე-7-ე საუკუნიდან მე-16-ე საუკ. და „ახალი" 16 საუკ. ახალი ისტორია გამოვა ამ დღებში, ხოლო „საშუალო" და „ძველი" გამოვა ცოტა ხნის განმავლობაში.

**ასურელთა ყრილობა**

ახლო მომავალში თბილისში მცხოვრებ ასურელთა ყრილობა გაიმართება.

**განცხადება**

როგორც შევნიშნე, ბოლო დროს ჩემდამი რწმუნებულ სამილიციო უბანში სახლები და სავაჭრო დაწესებულებები ღამით არ არის განათებული; ასევე ეზოები და ქუჩები ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, ვიღებ რა მხედველობაში იმ შედეგებს, რომლებსაც პირველის დროს ბნელი ქუჩები ხელს უწყობენ ყოველივე ბოროტმოქმედებას, ქურდობის და სხვა, და მეორეზე კი ანტისანიტარულ მდგომარეობაში ჩავარდნილ უბანში ხშირად ფეხს ივიდებს ამ ეპიდემიის ხანაში სხვადასხვა გადამდები ავადმყოფობა: შავი სახადი, „ისპანკა", რომლებიც ბოლო დროს მეტად მძვინვარებენ ჩვენს ქალაქში. ყოველივე ამის, თავიდან ასაცილებლად ვუცხადებ ყველა ჩემდამი რწმუნებულ სამილიციო უბანში მცხოვრებ სახლების და სავაჭრო დაწესებულებათა პატრონებს მიიღონ ღონისძიება განათებისა და სისუფთავის დაცვაში. აგრეთვე წინადადებას ვაძლევ ჩემდამი რწმუნებულ კომისარიატის უფროს და უმცროს მილიციონერებს, რათა ხელ ახლავ გააფრთხილონ მოქალაქეები და ჩემის განცხადების ცხოვრებაში გატარებისათვის მიიღონ ენერგიული ზომები.

მე-9-რე უბნის კომისარი

ივ. ბალაგანიძე.

**ბოტანიკური ბაღი**

წარსულ წელს ინახულა 66,000 მნახველმა, მათგან 60,000 ფასიანი, დანარჩენი უფასოდ (მოსწავლე ექსკურსანტები).

## ერობა

**თბილისის სამაზრო ერობაში**

**გადასახადების აკრეფა**

თბილ. სამაზრო ერობის დადგენილებით მთელ მაზრაში გაგზანილია სამი კომისია ადგილობრივ ხარჯთამკრებ კომისიის მუშაობის თვალყურის სადევნელად. განსაკუთრებული კომისია ადგილობრივ კომისიასთან ერთად გამოარკვევს, თუ ვის რამდენი მიწა აქვს და ამის მიხედვით გააწერს გადასახადს: ერთდროულს, სასანიტაროს და საეროზოს. ხალხი გადასახადს წესიერად იხდის.

**რაჭის ერობაში**

ზემო რაჭაში შიმშილობა დაიწყო. ერობის სასურსათო განყოფილებას დღეს სრულიად არა აქვს სიმინდი. ამ ჟამად კერძო პირები ფუთ სიმინდს 180 მან. ჰყიდიან. ერობამ მოწოდებით მიმართა ხალხს, რათა მათ განცხადებები შემოიტანონ გამგეობაში სიმინდის მოთხოვნილების შესახებ და ფულიც წარმოადგინონ. ერობის სასურსათო განყოფილება ყოველივე ზომებს ღებულობს სასურსათო კრიზისის შესამსუბუქებლად. უკვე აღიძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე დახმარებისათვის და ამ დღეებში მთავრობამ უნდა გაგზავნოს რაჭაში სიმინდი.

**გორის ერობაში**

გორის სამაზრო ერობამ ასი ათასი მანეთი მისცა ქალაქის თვითმართველობას მოკლე ვადიან სესხად.

—

ერობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე ზომები იქმნეს მიღებული, რათა რესპუბლიკის ფარგლებში სურსათი კერძო პირების მიერ არ იქნეს გატანილი საზღვარგარეთ.

**სიღნაღის ერობაში.**

**სკოლები.**

სიღნაღის მაზრაში ამ ჟამათ ერობის მიერ გახსნილია 68 სახალხო სკოლა და 4 უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი.

მიწის ფონდიდან ერობის განკარგულებაში გადავიდა რამდენიმე მამული, მათ რიცხვში: ენფიანჯიანცის ბაღები, ჩუმლაყის სანერგე და ლარიონოვკის საცდელი მინდორი.

—

ერობათა მცირე ერთეულების რეორგანიზაცია დამთავრდა. სოფლის საზოგადოების ტერიტორიის მიხედვით მაზრა დაყოფილია 27 მცირე ერთეულებათ.

—

დადგენილ წესისამებრ რაიონის მილიციის უფროსი ირჩევა მცირე ერობის ერთეულის მიერ რასაც ამტკიცებს სამაზრო ერობის გამგეობა.

—

მთავრობის მიერ გაღებულ ყველა კრედიტებს სკოლებისა და ადმინისტრაციის შესანახად სამაზრო ერობა აძლევს სარაიონო ერობებს მათ განკარგულებაში. სარაიონო ერობას არავითარი საკუთარი შემოსავალი არა აქვთ, მათ მხოლოდ თვითდაბეგვრის და გამგეობის შენახვის უფლება აქვთ.

## სამხატვრო ქრონიკა

**კოლაუ ნადირაძის წიგნი ლექსების.** ახლო მომავალში გამოვა პოეტ კოლაუ ნადირაძის პირველი წიგნი ლექსების. წიგნი იბეჭდება ძვირფას ქაღალდზე. წიგნში შედის როგორც დაბეჭდილი, ისე დაუბეჭდავი ახალი ლექსები.

**„შვილდოსანი".** იანვრის 25-ს გამოვიდა ყოველთვიური ჟურ. „შვილდოსანის" № 1. ჟურნალში მონ წილეობენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ნ. მიწიშვილი, ალ. ცირეკიძე და სხვ. ჟურნალის ფასი 30 მან.

**„კირჩხიბის" გამოცემები.** გამომცემლობა „კირჩხიბი" ამზადებს ტიციან ტაბიძის და ელენ დარიანის ლექსების პირველ წიგნს.

„შვილდოსანი" № 2 გამოვა თებერვლის 15.

## თეატრი

**დღეს:**

**სახელმწიფო თეატრი.** „სოფლის პატრონნება" და „ჯამბაზები".

„**ტარტო**" **დრამა.** „კრეჩინსკის ქორწინება".

## პროვინციის ცხოვრება

**ქ. ბათუმი.**

— ქობულეთის ადგილობრივ მთავრობამ აუკრძალა ქობულეთის მცხოვრებთ ბათუმში ჩამოიტანონ გასასყიდათ ფქვილი და სხვა სანოვაგე.

— ამ ბოლო დროს ბათუმის ქუჩებში ხშირად შეხვდებით სიმშილისაგან გულშეწუხებულ ხალხს. ქალაქის საავადმყოფოში ამგვარ ავათმყოფთა რიცხვი ყოველ დღე მატულობს.

— 10—14 იანვრამდე ქალაქის საავადმყოფოს სხვა და სხვა საქმეებზე დაუხარჯავთ 100000 მანეთი.

— 30 იანვარს კინემატოგრაფ „ბოგატირი"-ს ბუფეტიდან ბოროტ-მოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ძვირფასი სასმელები ღირებული 30000 მანეთად.

დღეს სამშაბათს 27 იანვარს საკრებულო საზოგადოების დარბაზში გაიმართება ტრადიციული ქართული საღამო „ნინობა". საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მოყვარულები: დები თარხნიშვილები, ვანო სარაჯიშვილი და ინაშვილი, მოწვეულია აგრეთვე ი. გრიშაშვილი. იქნე ა დადგმული ცოცხალი სურათები და სხ.

**ბათუმის პორტში**

— 19 იანვარს ბათუმში მოვიდა იტალიის გემი „ალდო" და ამერიკის გემი „ბეატრისი", რომელმაც ბათუმში მოიტანეს დიდძალი მანუფაქტურა და საგალანტერეიო საქონელი.

— ამავე დღეს ბათუმიდან გაიდა იტალიის გემი „გრაცი" სხვა და სხვა საქონლით დატვირთული.

— ამ დღეებში ბათუმიდან სტამბულისაკენ წავა რუს. საზ. გემი „კავკასია".

**ქ. გორი**

დღეს, იანვრის 27-ს (ძვ. სტილით იანვ. 14-ს) გორის ქართველი ქალები იდღესასწაულებენ საქართველოს დამოუკიდებლობას და წმ. ნინოს დღეს. დილით გორის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნება ურბნელ ეპისკოპოზ დავითის და სამღვდელოების მიერ წირვა და სამადლობელი პარაკლისი, ხოლო საღამოთი—გორის საკრებულო დარბაზში გაიმართება ტრადიციული და საზეიმო საღამო წმინდა ქართულ ხასიათის ნადიმით.

**კავკავი.**

(საკ. კორესპ)

— კავკავში სრული სიწყნარეა. საყურადღებოა რამდენიმე დიდ სპეკულიანტის დაპატიმრება. ლტოლვილთ. რომელნიც კასპიის იქით მხარედან ილტოდნენ, ჯარში იწვევენ. მობილიზაცია ეხება აგრეთვე სომხებს 1882—1901 წ.წ. დაბადებულთ. ყოველდღე მოდიან სამხრეთიდან ლტოლვილნი, რომელნიც პანიკას ჰქმნიან ქალაქში.

## პატარა ფელეტონი

**მზისგული**

მივიდა დედის საფლავთან და ყვავილები გადააყარა. თავდაღუნული, წელმოხრილი ჩამოჯდა ქვაზე და მძიმე ოხვრას ჩივილნარევი სიტყვა „დედა" ამოაყოლა. შეტოკდა დედის გული და მდუმარე სამარე ალაპარაკდა:

— რათ მოგიშვია, შვილო ლარი შვილდისა და ისრებს აღარ ისვრიან შენი თვალები? რომელ ქარტეხილს მოუხნექია შენი ტანადი კვიპაროსი და ცას აღარ უცქერის?.. შვილო, მიწა დაყრილი გული წუხილს მიეცა... პასუხს მოელის...

ქვაზე მჯდომარე პირქვე დაემხო და სამარეს სიტყვათა ნაკადი გადაადინა.

— დედილო მზისგული მიძახის! დედილო, მზისგული მიძახის!.. იცი, დედილო? სულ მზეს უმზერდა, მზისათვის დნებოდა და მზისგულს ეძახდნენ... ჰო, დედილოჯან, მზისგულს უძახდნენ...

— იცი, დედილო, მზეს რას უზნობდა?.. მაცალე დედი, მაცალე! მაცალე გითხრა, რას ღაღადებდა! მზეო მიყვარხარო! მიყვარხარო!

— მე შემიყვარდა ის კაცი და უკან

ეროვნული

გაჰყევი. სულ მზის სხივებში ეხვეოდა: ჩემია მზე სხვა არავისიო.

— მზეს უყიოდა, მიყვარხარო ტ თან დასჭენდა გულდამწვარი და დადაგული: „ვარდთა და ნეხვთა ვინაიდგან მზე სწორედ მოეფინებისო“, თავს მოვიკლავო. „ვარდთა და ნეხვთაო“, იტყოდა და გამწარებული მნათობისაკენ ხელებს იშვერდა, პირიდან საყვედური ჰხდებოდა: რათა მზეო, რათა? რათ ეფინები სწორედაო? ნუ უცინი ყველას და ნუ ათბობ ყველას ერთნაირადო?

— სდუმდებოდა და სევდა მღრნელი სახეს უბურავდა...

— მიდიოდა, დედილო, და მეც მივდიოდი. რაღაც უჩინარმა ძაფებმა მიმაბეს მზისგიჟზე. იზოზას ქსელივით შემომევლენ და მეც დავუწყე მზეს ცქერა, ის მზეს საყვედურს ეუბნებოდა და მეც ვიმეორებდი. ვერ იტანდა, დედილო, მზე რომ „ვარდთა და ნეხვთა“ სწორედ ეფინებოდა და მწარედ მოსთქვამდა...

— მზე, დედილო, მაინც უცინოდა ყველას და მზისგიჟის ფალადისი, მხოლოდ ჩემს გულს სწვდებოდა.

— მდინარე შეხვდა, დედილო, მდინარე! ხან ყრუდ მოდუდუნე და ხან მრისხანე. შიგ მზეს თვალი მოჰკრა, ვერ აიტანა, შენ წყალი უფრო ეყვარებიაო, შესძახა გაავთრებულმა და მდინარის მორევში გადაეშვა. მეც თან გადავყევი... ცივმა ტალღებმა შე მაძრწუნეს... ნაპირს მივმართე... მზე დამენანა...

— დედილო, მზისგიჟი წყალმა შთანთქა და მე კი მაინც გონებიდან არა მცილდება, სულ ჩამჩურჩულებს: მზე არას არჩევს, ყველას უცინისო და ნუ გიყვარსო. ჩემთან წამოდი, მდინარის ლამში მიძევს ბინაო. მე არ მივდივარ, მზეს ვერ ვშორდები და მზისგიჟი ხან დამხარხარებს, ხან მემუქრება, ხან მეხვეწება და სულს მიწუხებს... გული კი, დედილო, მზისგიჟისაკენ მიიწევს და გაიძახის: რათ, რათ ეფინება მზე „ვარდთა და ნეხვთა“ სწორედაო?..

სიტყვები შეწყდა და დედის მიწადა ყრილი გული მწარედ აგმინდა. ვერ გაუკურნა მშობელმა თვისი სისხლხორცს წყლული.

შვილი ატირდა. მზისგიჟის ძახილი არ ასვენებდა.

ინ-ბანი.

## დიდუბის პანთეონში

კვირას, იანვრის 25-ს დიდუბის პანთეონში დიდის ამბით იქმნა გადახდილი სამოქალაქო და საეკლესიო პანაშვიდები ქართველ მწერალ-მოღვაწეთა სულის მოსახსენებლად. დიდუბის ეკლესიის ეზო მორთული იყო ეროვნულ დროშებით. მიუხედავად ცუდი ამინდისა პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ამასთან სამარეთა გვერდით ჩამწკრივდა ჯარის ნაწილი. სიტყვები წარმოსთქვეს: დავით კლდიაშვილმა, ვასილ ბარნოვმა, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასამ, აკაკი პაპავამ, პავლე იაშვილმა და შოთა დადიანმა.

**სიტყვა ვასილ ბარნოვისა.**

„მოვედით, შემოვკრბით... ჩვენგან წარსულ მოღვაწეების ძვირფას საფლავთა შორის, საქართველოს გარდასრულ პირისუფალთ საუკუნო სავანეებთან და ვსდგევართ პირქლიმარენი, ლამაზ ამბორის ეზხზედ შემდგარნი.

და ეს იმისთვის, რომ ვეახლით მათაც ვახაროთ ყვავილოვანი დღესასწაული საზეიმო, აღდგომის დღე უდიდებულესი; არა ერთის კაცის აღდგომა, თუნდაც ზე-კაცისა თუ ღმერთკაცისა, არამედ აღდგომა მთელის ერისა.

აღსდგა მკვდრეთით საქართველო!

და ეს ზახილი აღტაცებული ესმით იმ დიდებულ გარდასრულთ, რადგან მკვდარნი არ არიან იგინი: არა კვდებიან იმათთანა მოღვაწეები, არ გარდაიქმნებიან არარაობად; სთრგუნავენ იგინი სიკვდილს სიკვდილით!

სულნი მათნი ამაღლდებიან ზეცად, ვარსკვლავებად აღიგზნებიან სამშობლო ცაზედ, რომ დაამშვენონ ლაჟვარდოვანი, რომ დაჰნათოდენ სატრფო ქვეყანას, სხივებს აფრქვევდნენ, ულიმოდნენ ტურფა ღიმით. შეჰნიშნავდით, როგორ ემატა მათ სხიოსნობა, რაკი დავამხეთ ბჭე მონობისა და შევიმოსეთ თავისუფლება. რა კარგია მათი მზერა! მათი სხივები ნათელ სვეტებად ეშვებიან დაბინდულ გულშიც, ლბილის სინათლით ანათებენ შენს არსებასა. ზოგიერთის მათგანის შარავანდედს მეწამული სხივი ასდევს ზოლად და ზოლად. იცნობთ ამ წითელ ფერს, სისხლის ოფლის ფერს ეკლიან გზაზედ თუ წმინდა სისხლისა მიმოთ ხეულს. ეს მათი სული!

მათი ხორცი, ხრწნადი არსება მათის პიროვნებისა, გაერთვის სამშობლო მიწას, შეადნება მას, შეადგენს უცილობელ ნაწილს მისის ნიადაგისას, მათგან სათაყვანებელ სამშობლო ქვეყნისას.

ხოლო აჩრდილნი გარდასრულ მოღვაწეთა ჩვენ შორის არიან მარად და მარად. ეხლაც ჩვენთან დაჰხარიან იგინი სამშობლოს მკვდრეთით აღდგომას. ნივთიერად ველარ განიცდიან ჩვენს ზეიმს ბეჩავნი, უნივთო თვალით კი ჰხედავენ ამას, უნივთო ყურით ისმენენ ამას. იღიმებიან!

იმედიანად იღიმებიან: მომავალსა ჰხედავენ ფრიად მოხდენილს, ბრწყინვალე შედეგებს ჩვენის განახლებისა და შეჰხარიან იმ ლამაზ მყობადს. ჩვენც გვიწვევენ გაუღიმოთ ტურფა მომავალს... გავყვეთ მათ რწმენას! სიცოცხლეში შორსმჭვრეტელნი იყვნენ იგინი, მაშინაც წინასწარმეტყველური განცდით ჰხედავდნენ საქართველოს აღყვავებულ ყოფას მომავალს, ხოლო ეხლა მეტად არის განმახვილი მათი თვალი სულიერი, შეუცდომლად მხედველი.

მაინც რაღა დაგვიშლის აწ წინსვლას სიკეთის გზაზედ, რაღა დაგვაბრკოლებს? აჰა მცხინვარე გრძნობა მემკვიდრეობით ნაანდერძევი; ძალა ძლიერი ნათელის ჰაზრის; ნაწრთობი ნებისყოფა უტეხად ფოლადებული; და... და მიზანი მისწრაფებისა ცხადად სახული. რაღამ უნდა დაგვაბრკოლოს, ვინ შეგვაყენოს? არაფერმა! ვერავინ!

დავხაროთ ეროვნული დროშა. მძლეველი ამ დიდებულ აჩრდილთ წინაშე და შევღაღადოთ:

გიხაროდენ: გაუმარჯვდა საქართველოს! კვლავაც გაუმარჯვდების მას დიდებულ წინსვლაში ნათელ გზაზედა“!

## მეცხვარე მესაქონლეთა ყრილობაზე

### მესამე დღე

ყრილობის მესამე დღის სხდომას ესწრებიან შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ბ-ნი ჭიჭინაძე და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ამხანაგი ბ ნი ავალიანი.

**მოხსენებანი**

ადგილებიდან ამ დღის მოხსენებას უდგენს ყრილობას დ. ქადაგიძე: მეცხვარეებს ამბობს მომხსენებელი არა აქვთ მუდმივი საძოვარი. მწყემსმა წინათვე არ იცის თუ სად გარეკოს საზამთროდ ცხვარი. იგი ხან ერთს საძოვარზე მიდის ხან მეორეზე. საჭიროა რომ მთავრობამ მეცხვარეებს ხანგრძლივის ვადით მიუჩინოს საძოვრები, რომ იქ მეცხვარემ მკვიდრად და წესიერად მოაწყოს ბინა და შესაფერად აწარმოოს ეს დარგი მეურნეობისა. გზების საკითხი თავსამტვრევი საკითხია. საჭიროა გზების შეკეთება და განივრება. გზებზე ცხვრის დასასვენებელი ადგილები უნდა მოეწყოს. გზების საკითხი მარტო მწყემსებს არ შეეხება. ამ გზებით საერთოდ ყველა მეურნე სარგებლობს და ყველასათვის საჭიროებას შეადგენს. ამიტომ ეს საქმე თვით მთავრობამ უნდა იდოს თავს: ჯერ კიდევ მიხეილის ნამესტნიკობის დროს შედგენილი იყო გეგმა გზებისა. გეგმით გზებს სიგანე უნდა ჰქონოდა 20-დან 60 საჟენამდე. საერთოდ ბევრი საყურადღებო მასალაა მაშინ დამზადებული და მთავრობას შეუძლიან მათი ისარგებლოს. იარაღი მეცხვარეთათვის აუცილებლად საჭიროა რადგან ცხვარს მრავალი მტერი ჰყავს ფრინველი ნადირი და კაცი. მეცხვარეთ საუკეთესო იარაღი უნდა დაურიგდეს და ამასთანავე გამარტივდეს იარაღის ტარების ნებართვის მიცემის წესი თორემ ამ დარგში დიდი არევ დარევა სუფევს რასაც ადგილი ჰქონ და ამ ერთის თვის წინად. კაცმა აღარ იცოდა ვისთვის უნდა მიემართა მოწმობისათვის. გვარდიელებისაგან ხომ მოსვენება არ ჰქონდათ. მწყემსებზე ისინი პირდაპირ ნადირობდენ და იარაღს ართმევდენ, თუნდაც მინისტრის მოწმობაც ჰქონოდათ. იარაღის წართმევამ ის გამოიწვია რომ მეცხვარეებს აღარ ეშინოდათ ათას მტრებს ცხვრისას და ცხვრებს იტაცებდენ, როგორც ეს მოხდა შირაქში ამას წინად. რაც შეეხება საძოვრის ფასს იგი უნდა დაწესდეს მეცხვარე მესაქონლეთა შემოსავლის მიხედვით. ცნობები მთავრობამ მეცხვარეებს უნდა მოსთხოვოს. აღსანიშნავია რომ ცხვარი და მეცხვარეების ნაწარმოებნი ისე არ აწეულა ფასებში როგორც სხვა საგნები. დასასრულ ორიოდე სიტყვა ჩვენებურ ცხვრის ჯიშებზე: კავკასიაში სულ 12 ჯიშის ცხვარია და ამაში ჩვენებურ ცხვარს მაგალითად თუშურს მხოლოდ დაღესტნის ცხვარი სჯობია. საერთოდ თუშური ცხვარი კარგის ჯიშისაა როგორც ხორცით ისე მატყლით. ყველს და ერბოსაც კარგს იძლევა. ამიტომ საჭირო არ არის სხვა ჯიშით შეცვლა, რაიც უფრო სჭირდება მეწველ მსხვილ საქონელს. სხვა ჯიშით შეცვლა იმ მხრითაც შეუძლებელია რომ ჩვენი მთის საძოვრები, სადაც შეჩვეულია ჩვენი ცხვარი სრულიად გამოუსადეგარი დაგვრჩება. შესაძლებელია მხოლოდ ის რომ ჩვენებურ ჯიშებს კარგათ მოვუაროთ და გავაუმჯობესოთ. ამისათვის საჭიროა მეცხვარეთა შეკავშირება და მთავრობისათვის საერთო მოთხოვნილების წარდგენა.

## ბოლშევიკები და მაჰმადიანები

„მორნინგ პოსტ“-ში მოთავსებულია შემდეგი საიდუმლო რადიო-ტელეგრამა, რომელიც დაუჭერიათ ლონდონში და რომელიც ეხება ბოლშევიკების პოლიტიკას აზიის მაჰმადიანთა შორის.

„ეროვნულ ბიუროს, ტაშკენტში. ამით გაცნობებთ თქვენ, რომ მანდ მატარებლით ჩამოვლენ ინსტრუქტორები ლიტერატურით პროპაგანდის გასაწევად. მატარებელს აქვს სახელწოდება „წითელი აღმოსავლეთი“, რომელმაც უნდა მიაწოდოს ლიტერატურა რუსულ და ადგილობრივი მაჰმადიანთა ენებზე, უმავთულო ტელეგრაფის სადგური და კინემატოგრაფები,—მატარებლით იგზავნებიან ლექციის მკითხველები, მატარებლის მაჰმადიანთა ნაწილის კარგად მოსამზადებლად. საჭიროა რომ იმ ჩვენმა პარტიულ ამხანაგებმა, რომელნიც გაცნობილ არიან ადგილობრივ ცხოვრებასთან და ზნე-ჩვეულებებთან, მიიღონ მონაწილეობა პროპაგანდის საქმეში, ამგვარი ამხანაგები ჩვენ აქ არა გვყავს.

ჩვენ დაბეჯითებით გთხოვთ, რომ თქვენ გამოგზავნოთ მოსკოვში სამი საუკეთესო ჩვენი ამხანაგთაგანნი. ეს არის სურვილი კომუნისტთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა. გთხოვთ მათი წამოსვლის შესახებ გვაცნობოთ.

„მორნინგ პოსტ“-ი იტყობინება, რომ ამ მუშაობაში თვალსაჩინო მონაწილეობას იღებენ გერმანელები. ქოზიმბეკმა, რომელიც 1915 წელს მოქმედობდა ავღანში გერმანელ ემისრებთან ერთად, დაარსა ასხაბადში რუსულ კომუნისტურ პარტიის მაჰმადიანური განყოფილება, თითქოს ისლამის აღორძინების საქმის საწარმოებლად, მაგრამ მისი პარტიის უმთავრესი მიზანია—დასუსტება ინგლისის გავლენა აღმოსავლეთში.

## ბოლშევიკების შიში

ვისაც რუსეთის ბოლშევიკური მოძრაობისათვის თვალ-ყური უდევნებია, ის დარწმუნდება, რომ წინეთ მისი დევიზი მხოლოდ პროლეტარიული მიმართულება იყო. მისთვის ეროვნული სახე არ არსებობდა; ამიტომ ის ანადგურებდა მის არსებობას რუსეთში და მართლაც ამ ნიადაგზე ლენინის ბოლშევიკებმა. ბევრი უმწეო და უდანაშაულოთა სისხლი დაღვარეს, მიანგრ-მოანგრიეს მთელი რუსეთი, მოსპეს მისი კულტურა, დაიტაცეს სახელმწიფო, თუ კერძო ქონება, გაანადგურეს ფაბრიკა-ქარხნები, გაძარცვეს ხაზინა-ბანკები, დასცეს ვაჭარ-მრეწველობა. და სხ. ამ ხაირ სისასტიკით მათ ერთგვარი ძალა მოიხვეჭეს ბნელ ხალხში; ხალხი, მართალია, გაჰყვა მას, მაგრამ გარეგნულად, გულით კი ეროვნებისა და საკუთრებისაკენ მიილტვოდნენ; ეს ლენინმა იცოდა, მაგრამ არ შედრკვა; მან ცეცხლით და მახვილით გაილაშქრა ამის წ. ნააღმდეგ, დაახშო ხალხის გრძნობა და ბოლოს კავკასიასაც მოადგა. მოინდომა მისი მოძლვრების განხორციელება, მაგრამ ჩვენი ქვეყანა გადარჩა ბოლშევიკების შეუბრალებელ ცეცხლს, მან კავკასიაში ფეხი ვერ მოიდგა, ვინაიდან მენშევიკებიც კი სამშობლოს ხსნას ეროვნულ სახეში ჰხედავენ, საზოგადოთ მათ სწამდათ, რომ სოციალისტური წესწყობილება და მეტად კი ბოლშევიკური, დამღუპველი იყო ქვეყნისა და აი, სწორედ ამ მიზნით ლენინის რუსეთი იმ პატარა ნავს დაემსგავსა, რომელიც აღელვებულ ზღვის შუა გულზე დარჩენილა უნიჩბოდ. ლენინმა ეს ნათლად დაინახა და რომ რუსეთისათვის დიდი სტიქია აეცდინა, რომელიც მოადგა მას ამ ბოლო ხანებში მას კარზე, თავისი მიმართულება მარჯვნივ მოატრიალა უფრო ეროვნულ მხარესაკენ გადმოიწია, და აი, სწორედ ეს იყო მიზეზი, დენიკინთან მისი გამარჯვებისა. ის შემდეგ ამისა მოადგა კავკასიას, მაგრამ სწორედ ამ თითქო განგებითო, დაჰკრა ჟამის ზარმა და სამშვიდობო კონფერენციამ გამოაცხადა კავკასიის ორ ერთა დამოუკიდებლობა, ეს ამბავი რამდენათ ჩვენთვის სასიხარულო იყო, იმდენად სამწუხარო შეიქნა ლენინის რუსეთისათვის, ვინაიდან იცოდა მან, რომ უკავკასიოთ ის დაემსგავსებოდა კბილებ ამოღებულ და კლანჭებ დაჭრილ ლომს, ამან დიდ საგონებელში ჩააგდო, ის აღივსო შურით კავკასიისადმი და კერძოთ საქართველოსადმი და გზას ეძებს თავისი მიზნის მისაღწევათ, და აი, სწორედ ამისათვის უარჰყო მან ბოლშევიკური მოძრაობა და თავისი დევიზი სრულ ეროვნულ მიმართულებისაკენ მოატრიალა, ის უკვე მთლიანი რუსეთის აღდგენას ჰფიქრობს. მას, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, აუარებელი ჯარი მოუგროვებია როსტოვსა და სხვა კავკასიის საზღვრების ახლო დაბა ქალაქებში და ცდილობს, ბოლშევიკურ ქურქ მოსხმული, ჩვენს განადგურებას. მას რითაც არ უნდა დაუჯდეს უნდა გადმოლახოს კავკასია, შემოიჭრას საქართველოში, დაიპყროს ის, შეიჭრას აქედან სპარსეთს, შეუერთდეს იქ ახალგაზრდა ოსმალთა ბოლშევიკებს, რომელნიც უკვე დიდი ხანია უცდიდნენ მას ოსმალეთის საზღვრებზე და იქიდან კი ეკვეთოს არაბინდოეთს, ჩამოაშოროს ის ინგლისს და დასცეს მისი ძლიერება, მოსპოს მისი ბატონობა მცირე აზიაში და შუა ხმელთა ზღვაზე. ლენინი ეხლა დაჭრილლომივით, არ ერიდება არავითარ საფრთხეს, ის მთელი ძალით მოაწვება კავკასიის საზღვრებს, მას დიდი იმედი აქვს ჩვენი შინაური მტრებისა, რომლებიც ხელს უწყობენ მას და თუ ჩვენ მზად არ დაუხვდით, ჩვენთვის აუცილებელია საფრთხე. ჩვენ როგორც ქართველებმა, აგრეთვე აზერბაიჯანელებმა, მომარაგებით უნდა პირის პირ დაუდგეთ ჩვენ საზღვრებთან მტერს, არ შემოუშვათ ის, მაგრამ, როგორც ზემოდა ვსთქვი მეტი ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ის უკვე აქ, ჩვენში, ჩვენივე ხალხისაგან ნიადაგს იმზადებს. ადგილობრივი რუსები, დიდ დახმარებას უწევენ მას, ისინი მზად არიან ყოველ ფეხის გადადგმაზე მახე დაგვიდგან, ვერ ინელებენ ჩვენს დამოუკიდებლობას. ჩვენ ეხლავე უნდა თადარიგს ვშუდგეთ და და თუ მომზადებული დავხვდებით ლენინის რუსეთი ჩვენთვის საშიშ არ იქნება, ის უკვე დაღლილ-დაქანცულია, მას ჩვენთან ბრძოლის ძალა არ შესწევს, ვინაიდან ინგლისი თავის ინტერესების დასაცავად მცირე აზიაში ჩვენთან არის, ის ჩვენთან ერთად იბრძოლებს ლენინის საწინააღმდეგოთ. კარგად ახსოვს ჩვენი მახვილის ძალა და ეხლა მით მეტი უფრო შედრკება მის წინაშე.

ქ. მარტვილელი.

## მორწმუნეთა წრის დაარსება

### პროექტი დებულებათა

§ 1. საეკლესიო - სარწმუნოებრივ ცხოვრების განსამტკიცებლად და წარსამართებლად არსდება „მართლმადიდებელ ეკლესიის დამხმარე, წმიდა ნინოს სახელობის საზოგადოება“.

§ 2. საზოგადოება იურიდიულ პირს წარმოადგენს.

§ 3 საზოგადოების მიზნებია: 1) **სარწმუნოებრივ ზნეობრივი**: ა) გავრცელება საქრისტიანო სოფლმხედველობისა თანამედროვე საზოგადოებაში; ბ) საქრისტიანო მორალის გატარება საზოგადოებრივ და ოჯახურს ცხოვრებაში; გ) დაცვა ქრისტიანობისა და საქრისტიანო კულტურისა; დ) განმტკიცება საეკლესიო ტრადიციებისა და დისციპლინისა. 2) **საგანმანათლებლო**: ა) საეკლესიო სწავლა-მოძღვრების გაძლიერება; ბ) მღვდელმსახურთა მოსამზადებლად შესაფერ სკოლის დაარსება; გ) მოწყობა სალვთო სჯულის შესწავლის საქმისა; დ) საგამომცემლო საქმის გაჩაღება; ე) ღვთისმსახურების ესთეტიურად მოწესრიგება. 3) **საქველმოქმედო**: შექმნა და გაძლიერება ისეთ დაწესებულებათა, რომელთა დანიშნულებას შეადგენს ღარიბ-გლახაკთა, ობოლ-უპატრონოთა, დავრდომილ-დასახიჩრებულთა და შრომის უნარს მოკლებულ პირთა დახმარება და ხელისაპყრობა. 4) **ეკონომიური**: ა) მატერიალურად გაძლიერება იმ დაწესებულებათა, რომელთა მოვალეობას შეადგენს ზრუნვა სამღვდელობის, სამოსწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებათა, საეკლესიო მართვა-გამგეობის ორგანოთა, მონასტრების, საკათედრო და ისტორიულ-არქეოლოგიურად მნიშვნელოვან ტაძრების და სამღვდელმთავრო მგალობელთა გუნდის შენახვისათვის; ბ) შექმნა სასულიერო წოდებისათვის კოოპერატივებისა, ემერიტურისა, დამზღვევ და ურთი-ერთ დამხმარე საზოგადოებისა და სხვ.

§ 4. აღნიშნულ მიზანთა მისაღწევ საშვალებად ითვლება: ა) შექმნა უძრავ-მოძრავ ქონებისა ანდერძით, ჩუქებით, ყიდვით, შემოწირულებით და სხვა ყოველგვარ კანონიერ გზით; ბ) შექმნა და წარმოება სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა; გ) ნება-ყოფლობითი ერთდროული შემოწირულება; დ) ყოველწლიური სავალდებულო ხაწევრო გადასახადი; ე) სარგებელი ხელუხლებელ თანხებისა; ვ) საიჯარადრო შემოსავალი; ზ) სასულიერო თუ საერო კონცერტისა და ლექციებისაგან შემოსავალი; ე) შემოსავალი საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენათა, სეირნობისა და საქველმოქმედო დღეებისა, თ) ყულაბებით ფულის შეგროვება ეკლესიებში და ქუჩა-უბნებში სათანადო ნებართვით და სხვ.

§ 5. საზოგადოების წევრად შეიძლება იყოს ყველა ეკლესიურად სრულ წლოვანი მორწმუნე, რომლისთვისაც მართლმადიდებელ ეკლესიას მნიშვნელობა და ღირებულება აქვს.

§ 6. წევრნი საზოგადოების სასარგებლოდ იხდიან წლიურ გადასახადს, რომლის რაოდენობას განსაზღვრავს ადგილობრივი კრება საზოგადოებისა.

§ 7. საზოგადოება შესდგება სასოფლო და საქალაქო ერთეულებისაგან, რომელთაც ფილიალური განყოფილება ეწოდებათ.

**შენიშვნა 1**: განყოფილებათა შექმნისა და ორგანიზაციის ინიციატივა უმთავრესად და ბუნებრივად ადგილობრივ მღვდელმთავრის და სამღვდელოების მოვალეობას უნდა შეადგენდეს.

**შენიშვნა 2**: ორს ან რამოდენიმე მახლობელ სოფელს შეუძლიათ ერთი განყოფილება შექმნან.

§ 8. განყოფილებათა საქმეებს განაგებს განყოფილების წევრთა კრება, რომელიც მოიწვევა საჭიროებათა მიხედვით და არა უგვიანეს ნახევარი წლისა.

§ 9. განყოფილებათა კრების აღმასრულებელი ორგანო არის გამგეობა, რომელიც შესდგება მის მიერ ერთის წლის ვადით არჩეულ სამის, მოქალაქობრივად სრულ-წლოვან, წევრთაგან, განურჩევლად სქესისა.

§. 10. საზოგადოების საერთო საქმეებს განაგებს დელეგატთა კრება, რომელიც შესდგება განყოფილებათა თითო წარმომადგენელისაგან და მოიწვევა წელიწადში ერთხელ, აგრეთვე საჭიროებათა მიხედვითაც.

§ 11. დელეგატთა კრების აღმასრულებელი ორგანო არის ცენტრალური გამგეობა, რომელიც, კათალიკოსის თავმჯდომარეობით, შესდგება, ამ კრების მიერ ერთის წლის ვადით არჩეულ ხუთის, მოქალაქობრივად სრულ-წლოვან, წევრთაგან, განურჩევლად სქესისა.

**შენიშვნა**: ვიდრე ფილიალური განყოფილებანი გაჩნდებოდეს, ცენტრალურ გამგეობის მოვალეობას, კათოლიკოზის თავმჯდომარეობით, ასრულებენ დამფუძნებელ კრების მიერ არჩეული პირნი.

§ 12. ფილიალურ განყოფილებათა კრებები ითვალისწინებენ და აკმაყოფილებენ ადგილობრივ საეკლესიო საჭიროებათ, ხოლო დელეგატთა კრება განიხილავს ისეთ საკითხებს, რომელთაც ზოგადო ხასიათი და მნიშვნელობა აქვთ.

**შენიშვნა**: დელეგატთა კრება ირჩევს განსაკუთრებულ სარევიზიო კომისიას.

§ 13. გამგეობანი, როგორც ფილიალური, ისე ცენტრალური, მოქმედობენ იმ წესდებათა და ინსტრუქციათა მიხედვით, რომლებიც [illegible] საფუძველზე, ადგენს დელეგატთა კრება, ან და მისი დავალებით, ფილიალურ განყოფილებათათვის, ცენტრალური გამგეობა.

§ 14. საერთო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად თვითეული ფილიალური განყოფილება ცენტრალურ გამგეობის განკარგულებაში ჰგზავნის ყოველწლიურად 10% თავისი შემოსავლისას.

§ 15. საზოგადოებას თავის საკუთარი ბეჭედი აქვს, მასვე შეუძლია ჰქონდეს საგანგებო ნიშანიც.

§ 16. თუ საზოგადოების ლიკვიდაცია მოხდა, მისი ქონება გადადის საქართველოს ეკლესიის საკუთრებაში.

§ 17. ამ დებულებათა შეცვლა და შევსება შეადგენს დელეგატთა კრების კომპეტენციას.

---

რედაქტორი:
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი: თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

---

დოქტორი მედიცინისა
მიხე ანთიმოზის ძე
ჭალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3. ტელეფონის № 17—21.

სამკურნ. კაბინეტი
ექ. პ. წულუკიძისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქეს და საშარდე ორგანოთა. (606 და 914 წამლობა) მიხეილის ს. ევათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევა საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვლედიანი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. ს-მდე საგანგებოდ ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1, 50—2559—3

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკების
გ. გ. მეჭ[illegible]ანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო წამლობის კაბინეთში.. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9 12 ს. და საღ. 5—6 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმი [illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპ. № 116, სასტუმრო „ნორდ“-ის პირდაპირ ტელეფონი 14—28.

იყიდება სამოსახლო ადგილი
საბურთალოზე - მისამართი: პირველი თუმანოვის ქუჩა № 8. ილიკო საკანდელიძეს.

გზათა დეპარტამენტი
ამით აცხადებს, რომ თანახმად მთავრობის წ. წ. 18 დეკემბრის დადგენილებისა განზრახულია
ტყიბულის ქვანახშირის გასაღება
გადაეცეს სააგენტოს, რომელსაც ქვანახშირი დაეთმობა კერძო პირებზე გასაყიდათ დაწესებულ ფასებზე განსაზღრული პროცენტების დაკლებით. საა გენტო ვალდებული იქნება წელიწადში განსაზღვრული minimum-ი ქვანახშირისა გადიტანოს მაღაროებიდან გასაყიდათ და გაჰყიდოს მხოლოდ გზათა დეპარტამენტის მიერ ნებადართულ ფასებში. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად საააგენტო ვალდებული იქნება წარადგინოს ხაზინაში განსაკუთრებული თანხა, რომელიც ხელშეკრულების ვადის გასვლამდე რჩება ხაზინაში. დაწვრილებითი ცნობები და ხელშეკრულობის პროექტის გაცნობა შეიძლება გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში კვირა-უქმე დღეებში 11—12 ს. საქმის დღეებში-კი ნაშუადღევის 2—3 საათამდე.
იმ პირთ, რომელთაც სურთ საჯარო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება უნდა შეიტანონ სახაზინო რკინის გზების მთავარ კასაში 50.000 მ. და ამის შესახებ კვიტანციასთან ერთად დახურულ კონვერტში ჩადებულ ბარათით წარმოადგინონ თავისი პირობანი გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში ამა წლის 15 თებერვლამდე, რომელ დღესაც მოხდება შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად შეტანილი 50.000 მანეთი უკანვე დაუბრუნდებათ შეჯიბრებაში დამარცხებულთ, ხოლო გამარჯვებულს ჩაეთვლება ხელშეკრულობის უზრუნველ საყოფად ხაზინაში წარსადგენ ბეში.
243 3—1
გზათა დეპარტამენტი

სტამბა „ცხოვრება“ ალ. კალანდაძისა, გაბაშვილის შესახვევი №4.